ისტორიული პროცესების გავლენა რელიგიურ თემზე
(მუსლიმები აჭარაში)

შესავალი

დღევანდელი აჭარა საქართველოს ავტონომიური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია. ავტონომიის სტატუსი რეგიონმა ათათურქისეულ თურქეთსა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის გაფორმებული ყარსის ხელშეკრულებით მიიღო. თუმცა, ამ შეთანხმების არსებობა განაპირობა მთელი რიგი პროცესების, ჯგუფების თუ პირების მოქმედებამ. ეს სამართლებრივი აქტი, მოგვიანებით, არაერთი აკადემიური, სოციალური თუ პოლიტიკური პროექტისა და მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. თუმცა, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ არა ამ „ფაქტის" წარმომავლობაზე ან მის ირგვლივ განვითარებულ პროცესებზე, არამედ იმ მომენტზე, თუ როგორ ახორციელებდა სხვადასხვა რეჟიმი ამ რეგიონში სხვადასხვა „შემაკავებელ" პროექტს (რომელის ერთ-ერთ სახესაც ავტონომია წარმოადგენდა). ისინი მიმართული იყო კონკრეტული სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, კულტურული თუ სხვა მიზნების რეალიზაციისკენ; და, ამ პროცესებში, რეგიონი განიხილებოდა არა როგორც ათვლის, ან პროექტების საბოლოო წერტილი, არამედ ის სხვადასხვა მიზნის შუალედურ და შესაბამისად, კონტროლირებად (გასაკონტროლებელ) არეალს წარმოადგენდა. სხვადასხვა პერიოდში, ეს "პროექტები" განსხვავებული „ინსტრუმენტებით" ხორციელდებოდა, თუმცა, ყველა ეტაპზე, რამდენიმე საერთო ხაზის გამოვლენაა შესაძლებელი. აქ, ამ თემის წარმოჩენას შევეცდებით ერთი თემის კონტექსტში - მუსლიმური თემი. სტატიის ძირითადი მიზანია, წარმოვაჩინოთ მუსლიმური თემის ისტორია, აჭარაში მისი გაჩენიდან დაწყებული (ოსმალეთის პერიოდი), საბჭოთა პერიოდის ჩათვლით. ამავდროულად, ყურადღება გამახვილებული იქნება ყველა იმ მნიშვნელოვან პროექტზე (პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ა.შ.), რომელიც ამ თემზე ახდენდა გავლენას.

ნაშრომის მომზადებისას გამოყენებულია ნარატიული, ისტორიული (პერიოდიზაციის) და შედარებითი მეთოდები. ნაშრომი შედგენილია ისტორიული პერიოდიზაციისა და თემატური სისტემატიზაციის პრინციპის მიხედვით.

ოსმალეთი

სხვადასხვა ისტორიული წყაროს მიხედვით, ქართული სამეფო-სამთავროების ტერიტორიებზე ცალკეული მუსლიმური თემი სხვადასხვა პერიოდში ფიქსირდებოდა. თუმცა, აჭარაში, მუსლიმური თემის გაჩენას ეს წყაროები ოსმალური მმართველობის

პერიოდს უკავშირებენ[1].

მთელი რიგი ფაქტორების გავლენით, XVI საუკუნიდან მოყოლებული, ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ ოსმალეთის ინტერესი და მისი გამოხატულება სხვადასხვა სახეს იღებდა. თუმცა, მის ძირითად მიზანს კავკასიაში გაბატონება წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ XVI-XVIII საუკუნეებში მომხდარმა პროცესებმა უზარმაზარი გავლენა იქონია მთელ რეგიონზე, ქართულ ენაზე ამ პერიოდის წყაროები მაინც ნაკლებადაა შემორჩენილი. ქართულ ან რუსულ ენაზე შემორჩენილი წყაროები უფრო მეტად XIX საუკუნის მოვლენებს შეეხება. უფრო მეტი ცნობები თურქეთის არქივებშია დაცული, რომელთა ერთი ნაწილიც ითარგმნა ქართულ ენაზე.[2] თუმცა, როგორც თავად ამ ნაშრომების ავტორები აღნიშნავდნენ, მთელ რიგ საკითხებზე ჩვენი ცოდნა ჯერ კიდევ ბუნდოვანია, რადგან შესაბამისი მასალები ან გამოვლენილია და ჯერ არ დამუშავებულა, ან სულაც უცნობია; ამიტომ, ცალკეული თემა ჯერ კიდევ შეუსწავლელია.

XV საუკუნიდან, ქართული სამეფო-სამთავროები ირანისა და ოსმალეთის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა, რაც ხან დარბევებში, ხან კი მორჩილების მოთხოვნაში ან სულაც დაპყრობაში გამოიხატებოდა. 1514 წლიდან, ეს ტერიტორია ხანგრძლივი ომების ასპარეზად იქცა, რომელთა პერიოდშიც, ხან ერთი იმპერია ახერხებდა წარმატების მიღწევას, ხან მეორე. XVI საუკუნის ბოლოს, წარმატებას ოსმალეთი აღწევს. ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ფეოდალების უპირველესი საზრუნავი საკუთარი სამფლობელოები იყო, სამცხე-საათაბაგოში, მაგალითად, შიდა ფეოდალურ ქიშპს უფრო განაპირობებდა, ვიდრე ერთობლივ მოქმედებებს. ამავდროულად, ცალკეული ფეოდალი საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისათვის უფრო ძლიერ მხარეს მიმართავდა. ასე, იყო სამცხე-საათაბაგოში, 22 ფეოდალური სახლის კრებულში,[3] სადაც მზეჭაბუკის, ყვარყვარე III-ის, ქაიხოსროს მმართველობის პერიოდში, შიდა დაპირისპირებების კვალობაზე, ხან ირანი არბევდა ან იპყრობდა ცალკეულ ტერიტორიებს და ხან ოსმალეთი.[4] ოსმალეთი, პირველ ეტაპზე, ამ მხარეების მიერ ნომინალური მორჩილებით და გადასახადის (ხარაჯა)

---

[1] დაწვრ. იხ. ბარამიძე რ., ისლამის გავრცელების ისტორიიდან აჭარაში, - ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი, 2010, გვ. 8-26.

[2] 1595 წლით დათარიღებული „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ 1947, 1951, 1958 (სამ წიგნად); “ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი” 1694-1732 თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ. თბ. 1979; ,,1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით გამოკვლევითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს სერგი ჯიქიამ და ნოდარ შენგელიამ, თბ. 2009; ,,აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“, ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, თბ. 2011; ,,არტანუჯი ოსმალეთის იმპერიაში“, 1595 წლის არტანუჯის აღწერის დოკუმენტთან ერთად თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა ზაზა შაშიკაძემ; ,,1573/4 წლის გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ. 2015.

[3] Бердзенишвили Н. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII- XVI вв.), Тбилиси, 1938, გვ. 31.

[4] სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბილისი 1990, გვ. 53; 1514 წელს სამცხის ათაბაგმა სულთან სელიმ პირველს სპერი გადასცა, რათა, დროებით მაინც, აეცილებინა ოსმალეთის აგრესია. ამიერიდან ის ისპირის სანჯაყის სახელით მოიხსენიებოდა - იქვე, გვ. 160.

შეგროვებით კმაყოფილდებოდა.[5]
ამ პერიოდის ინტერპრეტაცია, უნდა ითქვას, რომ რადიკალურად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნის მკვლევრებს შორის და ის, რა თქმა უნდა, არა იმდენად ზუსტი ისტორიის აღწერის პრობლემას უკავშირდება, რამდენადაც კონკრეტული პერიოდის „სწორი ისტორიის" (ნაციონალური ისტორიის კუთხით) ჩვენებას. ინტერპრეტაციაში სხვაობა კარგად ჩანს საქართველოსა და თურქეთში მოღვაწე მკვლევრების ნაშრომების შედარებისას.[6] მხოლოდ ეს ფაქტიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ საკითხის დასმაც კი, სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს და, შესაბამისად, ძალაუფლებრივი სენტიმენტების ნაწილი უფროა, ვიდრე აკადემიური დავის.

მაგრამ, დავუბრუნდეთ ჩვენს ძირითად ხაზს. 1550 წელს, გონიოს ლაშქრობის ფარგლებში, ტრაპიზონის სანჯაყბეგმა მუსტაფა ფაშამ ჭოროხის აუზის ქვედა წელს შემოუტია და აიღო მაჭახელას ხეობა და ვინმე სპირიდონისძის ოთხი ციხე.[7] მას მალევე უღიარებია ისლამი და მაჭახელას სანჯაყბეგობა მიუღია.[8] იგივე მოხდა მდინარე აჭარისწყლის ხეობაში, სადაც ბოლო ქრისტიან მმართველს, ვინმე ბეჟანს 1561 წელს ჩამოართვეს მისი მიწები და სპერის სანჯაყბეგს გადასცეს; თუმცა, ბეჟანმა, 1564 წელს, ისლამი მიიღო, სულთანს ერთგულება შეჰფიცა და როგორც სანჯაყბეგი ამ ხეობას (სანჯაყს) განაგებდა.[9] მეტიც, 1579 წელს, მანამდე სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე არსებული ერთეულების ნაცვლად, იქმნება ჩილდირის (ახალციხის) საფაშო, რომლის მმართველი ასევე გამუსლიმებული მუსტაფა (ყოფილი მანუჩარი) ათაბაგი ხდება.[10]

რატომ ხდებოდა ასე? ოსმალეთის იმპერია წარმოადგენდა მუსლიმურ პოლიტიკურ ერთეულს, რომლის მმართველობის სისტემა თანხვედრაში იყო რელიგიურ პრინციპებთან. იმპერიის მოსახლეობა მუსლიმებად და არამუსლიმებად იყოფოდა. ეს სპეციფიკა გავლენას ახდენდა ბევრ (თუ არა ყველა) სფეროზე.

---

[5] თურქული წყაროები XVI ს-ის I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ. თბილისი 1983, გვ. 15.
[6] ამ პერიოდის ოსმალთა ლაშქრობებში სხვადასხვა შინაარსს ხედავენ ქართველი და თურქი ისტორიკოსები. თუ ქართველი ავტორები აქცენტს ამ ლაშქრობების მარბიელ ან დამპყრობლურ ხასიათზე აკეთებენ, თურქი ავტორებისათვის ოსმალეთის მხრიდან საკითხის ამგვარი დასმაც კი არასწორია - შაშიკაძე ზ., ოსმალთა მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობა და ეთნო-რელიგიური პროცესები, - ქართველ მუსლიმთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში, თბილისი, 2017, გვ. 7-8; მაგ., საინტერესო შედარება ფიქსირდება მ. ქასაბის ნაშრომში - ოსმალეთის ქართველები, პირველი გამოშვება (მთარგმნელები: გელა გუნიავა, ემინ შექერჯი), საქართველოსთან მეგობრობის ასოციაცია, სტამბოლი, 2012, გვ. 22-28.
[7] შაშიკაძე ზ., ოსმალთა მიერ მაჭახელას ხეობის დაპყრობის თარიღის დადგენისათვის, აღმოსავლეთმცოდნეობის კრებული 361, თბ. 2004, გვ. 421.
[8] Mustafa Adil Özder, Tarihte Çıldır Atabegleri ve Torunları, Erzurum 1971, გვ. 6.
[9] ზ.შაშიკაძე, ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI ს-ის აჭარის ისტორიისათვის, ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული III, ბათუმი 2002; როგორც ზ. შაშიკაძე მიუთითებს, XVI საუკუნის 60-იან წლებში, ოსმალეთმა ჭოროხის აუზის სხვა ტერიტორიებიც მიითვალა - შაშიკაძე ზ., ოსმალთა მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობა და ეთნო-რელიგიური პროცესები, - ქართველ მუსლიმთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში, თბილისი, 2017, გვ. 11-12.
[10] თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ტერიტორიაზე მმართველობის, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის პრინციპები უკვე შეცვლილი იყო (ანუ, საერთო ოსმალურ პრინციპებზე გადავიდა), ან იცვლებოდა - სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299-2000), თბილისი, 2007, გვ. 157;

ოსმალეთის სახელმწიფოს ფორმირების ეტაპზე, მიწები ითვლებოდა სახელმწიფო საკუთრებად (არაზ-ი მირი), რომლიდანაც ერთგულ მეომრებს გადაეცემოდათ თიმარები და ზეამეთები, სამხედრო სამსახურისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთები. მას უკავშირდებოდა არა მარტო მეომრების გამოყვანის უფლება, არამედ გარკვეული რაოდენობის გადასახადების შეკრების უფლება, რაც მათ სხვადასხვა ხარჯის დაფარვის უფლებას აძლებდა. ამ მიწების მემკვიდრეობის გადაცემის უფლება გარკვეულ სამხედრო ვალდებულებებზე იყო დამოკიდებული.[11]

უფრო გვიან, ოსმალეთი დაიყო ბეგლარბეგების მმართველობის ქვეშ მყოფ ეილათებად (საფაშოებად), რომელთაგან ზოგი ეილათი სალიანეს მქონე იყო (ტერიტორია ნახევრად დამოუკიდებლად იმართებოდა და გადასახადებიც ადგილზე იკრიბებოდა), ზოგი კი არა (სისტემა მთლიანად ოსმალური იყო, რომელიც XVII საუკუნისათვის მოიცავდა იმპერიის აღმოსავლეთ ტერიტორიებს და შავიზღვისპირეთს).

უფრო მცირე ერთეული იყო სანჯაყი (ლივა), რომელიც სიტუაციურად, მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი მმართველის მიერ იმართებოდა (სანჯაყბეგი, მირილივა ან ფაშა). ის იყოფოდა ყაზებად, რომლის სათავეში ხშირად იყო ყადი[12] ან სუბაში.[13] ყველაზე მცირე ერთეულს ნაჰიე, ანუ რამდენიმე სოფლის გაერთიანება წარმოადგენდა. ბეგლარბეგებისა და სანჯაყბეგებს, ხელფასის ნაცვლად, ხასი (ანუ საკუთრებაში გადაცემული მიწები) ეძლეოდათ.[14] ამავდროულად, ეს უფლება უკავშირდებოდა სამხედრო ვალდებულებას, რადგან მათ თიმარებიდან და ზეამეთებიდან (ანუ ლენიდან) ჯარი უნდა შეეკრიბათ. ანუ, კონკრეტულ ტერიტორიაზე უფლებების მოპოვება ან შენარჩუნება ერთგულებას, გარკვეული ვალდებულებების აღებას და რაც მთავარია, ისლამის მიღებას უკავშირდებოდა. ანუ, როგორც ფეოდალი, ისე პირი ვისაც თანამდებობა ეკავა - მუსლიმი უნდა ყოფილიყო. ეს, თავის მხრივ, დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ცენტრალური ხელისუფლებისადმი ლოიალობას და გარკვეული სამხედრო ვალდებულებების შესრულებას გულისხმობდა.

გამომდინარე იქედან, რომ ქართულ პროვინციებში, ხშირ შემთხვევაში, სანჯაყების ფლობა იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით რეგულირდებოდა (რაც იმას ნიშნავდა, რომ თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა და ამ ტიპის მმართველობის უფლებას კონკრეტული ვალდებულების სანაცვლოდ ანიჭებდა - ხშირად, ეს პირობა სახელმწიფო საზღვრის დაცვა იყო[15]) ძალაუფლების ვერტიკალიც და ჰორიზონტალიც კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა - კონტროლს. როგორც, მ. სვანიძე აღნიშნავს, ოსმალებმა თანდათანობით სრულყვეს ზემოთ ხსენებული თიმარული სისტემა, რომელიც შემდეგ

[11] სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299-2000), თბილისი, 2007, გვ. 15-16.
[12] მის ფუნქციას სასამართლო, სასულიერო და ზემდგომი ბრძანებების აღსრულება წარმოადგენდა.
[13] სამხედრო საკითხებზე პასუხისმგებელი სამხედრო პირი.
[14] სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299-2000), თბილისი, 2007, გვ. 19-20, 134-7.
[15] შაშიკაძე ზ., ოსმალთა მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობა და ეთნო-რელიგიური პროცესები, - ქართველ მუსლიმთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში, თბილისი, 2017, გვ. 16.

ოსმალეთის ფეოდალური სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი გახდა. [16] აჭარაში ფიქსირდებოდა როგორც თიმარი (ნაკლებშემოსავლიანი), ისე ზიამეთიც (მაღალშემოსავლიანი).[17]

რა მნიშვნელობა ჰქონდა მმართველობის ამ ფორმას? უპირველეს ყოვლისა, ის ისლამიზაციის სოციალურ ხასიათს განაპირობებდა - ისლამს ადგილობრივი ფეოდალები იღებდნენ, რათა (ა) შეენარჩუნებინათ მიწა და (ბ) მიეღოთ და შეენარჩუნებინათ ადგილობრივი ტერიტორიების მართვის უფლება (განსაკუთრებით, მემკვიდრეობის უფლებით). ამავდროულად, რადგან ეს ადმინისტრაციული სისტემა სულთნისადმი ლოიალობას დიდ როლს ანიჭებდა, ადგილობრივ ფეოდალებს გარკვეული არათანმიმდევრული პოლიტიკის პირობებში, შეეძლოთ, დაეკარგათ როგორც ტერიტორია, ისე სტატუსი, რაც მათ შთამომავლებზეც აისახებოდა.

ოსმალეთში, შიდა რელიგიური პოლიტიკა არამუსლიმი მოსახლეობის მართვის მილეთურ [18] სისტემას ეფუძნებოდა. მილეთი არამუსლიმ მოსახლეობას, თავისი ერთობის შიგნით, საქმეების მოგვარების საშუალებას აძლევდა. ის ასევე იყო არამუსლიმი მოსახლეობის მართვის ფორმაც. თავდაპირველად, ბერძნულ-მართლმადიდებლური და სომხური, შემდეგ კი, ებრაული მილეთები არსებობდა. მათი რაოდენობა შემდგომში 13-მდე გაიზარდა. ოსმალეთში არამუსლიმი მოსახლეობა შეზღუდული უფლებებით სარგებლობდა. მათ ეკრძალებოდათ ადმინისტრაციული და სამხედრო სამსახური, იარაღის ტარება, ცხენით სიარული და ა.შ. [19] მილეთური მმართველობა, პრინციპში, ამ ხალხის ლოიალობა-მორჩილებასა და გადასახადების შეკრებაზე იყო მიმართული. თემს შიდა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება მხოლოდ სულთნის კართან შეთანხმებით შეეძლო (მაგ., სასულიერო პირების დანიშვნა, ეკლესიების შენარჩუნება, საგანმანათლებლო დაწესებულებები და ა.შ. ასევე, რელიგიის, ენის და გარკვეული ადათ-წესების შენარჩუნება). როგორც მ. სვანიძე მიიჩნევს, მთლიანობაში, ოსმალებისათვის არამუსლიმები უცხოელებად ითვლებოდნენ. ანუ, ისლამის ნორმები (შესაბამისად, იმპერია) უშვებდა შემწყნარებლობას „ურჯულოების" მიმართ, მაგრამ არ თვლიდა მათ მუსლიმების თანასწორად.[20]

აჭარისათვის ეს სისტემა ნიშნავდა, რომ ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში უნდა გადასულიყო, ან როგორც მკვლევარი ზ. შაშიკაძე მიიჩნევს, სომხურ ეკლესიას უნდა დაქვემდებარებოდა. [21] ამ

---

[16] სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია (XIV-XVI სს.), თბილისი, 1999, გვ. 86-98.

[17] შენგელია ნ., ოსმალეთის მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში XVI-XVIII საუკუნეებში, - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, ბათუმი, 2009, გვ. 242.

[18] Millet - თურქულად ხალხს, ეთნოსს ნიშნავს.

[19] სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, თბ. 2007, გვ. 137-138.

[20] იქვე, გვ. 137-139.

[21] შაშიკაძე ზ., ოსმალთა მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობა და ეთნო-რელიგიური პროცესები, - ქართველ მუსლიმთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში, თბილისი, 2017, გვ. 21-3.

პირობებში, ადგილობრივი ეკლესიებისა და მრევლის მდგომარეობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა გზას აირჩევდნენ ისინი: შეინარჩუნებდნენ ეკლესიებს, გადავიდოდნენ კონსტანტინოპოლის ან სომხური ეკლესიის წიაღში, თუ სულაც ისლამს მიიღებდნენ. ამ შემთხვევაში, მათი სტატუსი მნიშვნელოვანწილად იცვლებოდა. გარდა იმისა, რომ ისინი იმპერიის თანასწორუფლებიანი ქვეშევრდომები ხდებოდნენ, იცვლებოდა მათი საგადასახადო დატვირთვაც.

ოსმალეთის იმპერიის ძირითად შემოსავალს დაპყრობილი ქვეყნებიდან ამოღებული ნადავლი და მათზე შეწერილი გადასახადები შეადგენდა. ამიტომ, სამხედრო და საფინანსო სფერო საგადასახადო სისტემაზე იყო დამოკიდებული. [22] ოსმალური გადასახადები შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს - შარიათის პრინციპებზე დამყარებული გადასახადები, საერთო კანონებით განსაზღვრული გადასახადები და სულთნის (ან მოხელეების) მიერ შემოღებული გადასახადები.[23]

არამუსლიმები მუსლიმებისგან განსხვავებულ გადასახადებს იხდიდნენ, რადგან გადასახადის სახეობა, სახელწოდება და ოდენობა მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო რელიგიური ნიშნით; ქრისტიანი მოსახლეობა მუსლიმებისაგან განსხვავებულ (სახელწოდებით, შინაარსით, ოდენობით) გადასახადებს იხდიდნენ.[24]

ოსმალეთის იმპერიაში შარიათის საფუძველზე დამყარებული გადასახადები არ განსხვავდებოდა სხვა ისლამურ ქვეყნებში აკრეფილი ასეთივე გადასახადებისაგან. ისინი არ შეცვლილა თანზიმათამდე (რეფორმამდე); თანზიმათის დროს, მათი ნაწილი გაუქმდა, ნაწილმა კი სახე იცვალა.

თანზიმათამდე, შარიათით განსაზღვრულ გადასახადებს მიეკუთვნებოდა: ჯიზიე, რომელსაც 14-დან 75 წლამდე, ჯანმრთელი, არამუსლიმი მამაკაცი (ოჯახის ყველა წევრი სათითაოდ) იხდიდა საკუთარი ოჯახის, ქონებისა და სარწმუნოების უსაფრთხოებისათვის; იგი სამხედრო ვალდებულებისაგან განთავისუფლების ერთგვარ

---

[22] შაშიკაძე ზ., მახარაძე მ., აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, თბილისი 2011; შენგელია ნ., გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI ს-ის ოსმალეთში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკ, 2, თბილისი 1962, გვ. 124.

[23] აქ, ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ თავისი საჭიროებების მიხედვით, ადგილობრივ მმართველებს უფლება ჰქონდათ, შეეკრიბათ დამატებითი გადასახადები. მეორე, სავაჭრო სპეციფიკიდან გამომდინარე, საფასურის (ან გადასახადის) ერთ სახეს ადგენდა ყადი (სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, თბ. 2007, გვ. 140); და მესამე, თანზიმათის პერიოდამდე (და მის მიმდინარეობისას) მოქმედებდა ილთიზამის წესი, რომლის მიხედვითაც, პირი ყიდულობდა გადასახადების შეკრების უფლებას, რაც არსებულ გადასახადებზე ნამატის ან გადასახადების გაზრდას იწვევდა, რაც გლეხების უკმაყოფილებას იწვევდა (იქვე, გვ. 298-9). მოსახლეობა პერიოდულად აწყობდა "ოლქაობას", ანუ ოლქის ფარგლებში მოსახლეობის შეკრებას და გარკვეული პრობლემის ირგვლივ თავისი დამოკიდებულების გახმაურებას. თუ პრობლემა არ იქნებოდა აღმოფხვრილი, მაშინ ამას აჯანყება მოჰყვებოდა (ოლქობისა და ოლქაობის თავდაპირველი ბუნების შესახებ იხ.: მგელაძე ვლ., ხალხური თვითმმართველობის ისტორიიდან აჭარაში ("ოლქობა"), - ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნირო სესიის მოხსენებათა თეზისები, I, ბათუმი, 1961, გვ. 7; მგელაძე ვლ., ხალხური მმართველობის ისტორიიდან აჭარაში, - "ლიტერატურული აჭარა", 1964, #3. გვ. 81-84.)

[24] შენგელია ნ., გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI ს-ის ოსმალეთში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკ, 2, თბილისი 1962, გვ. 124

ფორმად მიიჩნევა.[25] როგორც ზ. შაშიკაძე მიუთითებს, XV საუკუნეში, მისი ოდენობა 40-60 ახჩას შეადგენდა. XVII საუკუნეში იგი 140 ახჩამდე გაიზარდა.[26]

მეორე გადასახადს წარმოადგენდა ხარაჯა, რომელიც ორი სახისა იყო: სავალდებულო (ფულადი სახით გადასახდელი) და საწილო (არამუსლიმებისაგან ნატურალური სახით გადასახდელი გადასახადი).[27]

გარდა შარიათით განსაზღვრული გადასახადებისა, არამუსლიმი, არაოსმალური თემი იხდიდა სხვა ან განსხვავებული მოცულობის გადასახადებს. ასე, ჩვენთვის საინტერესო რეგიონში, ყოფილი ქართული სამეფო-სამთავროების ქრისტიანი მოსახლეობა იხდიდა „ისფენჯის" გადასახადს - 25 ახჩა (მუსლიმები მსგავს გადასახადს - ბენაქი - 12 ან 16 ახჩის მოცულობით იხდიდნენ[28]). XVI საუკუნეში, ამ გადასახადს ზემო აჭარის 313 და ქვემო აჭარის 221 კომლი (ანუ 534-ვე კომლი) იხდიდა, ჯამში, 13 350 ახჩის მოცულობით.[29]

მეორე ტიპის გადასახადია „მურახასიე", ქრისტიან სასულიერო პირზე დაწესებული გადასახადი; მას 2 ახჩის მოცულობით კომლობრივად იხდიდნენ. აჭარის 54 დასახლებული სოფლიდან ამ გადასახადს იხდიდა 49, რაც ამ პერიოდში ქრისტიანობის გავრცელებაზე მიუთითებს.[30]

თავისებურ გადასახადს წარმოადგენდა ქორწინების გადასახადი, რომელიც განსხვავდებოდა იმის მიხედვით, პირი ქალწული იყო, ქვრივი, არამუსლიმი თუ მუსლიმი. არამუსლიმები მას ორმაგი ოდენობით იხდიდნენ. დავთარში ის სხვა გადასახადთან ერთადაა მოხსენიებული და ჯამში 13 859 ახჩას შეადგენს.[31]

მოსახლეობისათვის შეწერილ გადასახადს წარმოადგენდა ღორის გადასახადიც, რომლსაც ორი სოფელის (სხვალთასა და ზაქარაული) გარდა - ყველა იხდიდა, საერთო ჯამში, 4 323 ახჩის მოცულობით.[32] იმავე კატეგორიაში შეიძლება განვიხილოთ უშურის გადასახადი, რომელიც მოწეულ მოსავალზე დაწესებულ გადასახადს წარმოადგენდა. აჭარაში გაწერილი იყო გადასახადები ხორბალზე, ქერზე, ფეტვზე, ჭვავზე, ყურძნის წვენზე, ხილზე, ბოსტანზე, კანაფზე, თივასა და ფუტკარზე. ამათგან, საყურადღებოა

---

[25] ჯიზიეს შესახებ ვრცლად იხილეთ: ,,აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები", ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, თბ. 2011, გვ. 23-26.

[26] შაშიკაძე ზ., ოსმალთა მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობა და ეთნო-რელიგიური პროცესები, - ქართველ მუსლიმთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში, თბილისი, 2017, გვ. 18.

[27] იქვე, გვ. 18.

[28] იქვე გვ. 20.

[29] შაშიკაძე ზ., მახარაძე მ., აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, თბილისი, 2011, გვ. 34-7.

[30] იქვე, გვ. 38-40

[31] იქვე, გვ. 40-2.

[32] იქვე, გვ. 44.

ყურძნის წვენზე ანუ ღვინოზე დაწესებული გადასახადი;[33] ამ დარგებმა, რომლებიც ამ რეგიონში ჯერ კიდევ აქტუალური იყო, შემდგომ, თანდათანობითი დაკნინება განიცადეს, საბოლოოდ კი გაქრნენ.[34]

სხვა გადასახადები (წისქვილზე, საქონელზე, მიწაზე, საძოვრებზე, მოსავალზე და ა.შ.) იკრიბებოდა საერთო წესების მიხედვით და დამოკიდებული იყო კონკრეტული ტერიტორიებისათვის განსაზღვრულ პირობებზე.

გადასახადები სოციალური კონტროლის (ექსკლუზიური სოციალური სისტემა) და ჰომოგენიზაციის (ძალისმიერი ინკლუზიის) ირიბი მექანიზმი იყო, რომელზეც დამოკიდებული იყო ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერე.

რეგიონის მართვაში პრინციპული ცვლილებები რეფორმების პერიოდს, ე.წ. „თანზიმათს" უკავშირდება.[35] თანზიმათის რეფორმის არსი მეტ ცენტრალიზებულ კოტროლსა და გამართულ აპარატში მდგომარეობდა. ქართველ მკვლევართა შორის გავრცელებული მოსაზრებით, სწორედ თანზიმათის პერიოდთანაა დაკავშირებული ისლამიზაციისა და თურქული ენის დანერგვის აქტიური პროცესები.[36] თუმცა, ჩვენი აზრით, თანზიმათმა გარკვეული პროცესების ფორმალიზება უფრო მოახდინა, ვიდრე განაპირობა ისლამიზაცია. როგორც ჩანს, მკვლევრების შეხედულებაზე გავლენას ის ახდენდა, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მათთვის ხელმისაწვდომი მასალების დიდ ნაწილი ამ პერიოდს ეხებოდა.

მაგრამ, ისევ დავუბრუნდეთ თემას. რა წინაპირობები ჰქონდა ახალი იდეების გაჩენას ოსმალეთში? საფრანგეთის რევოლუციას ბევრ ქვეყანაში ახალი იდეების და პროცესების გავრცელება მოჰყვა. ოსმალეთის იმპერიაში, ცვლილებებს მმართველი ელიტის ერთი ნაწილი აუცილებლად მიიჩნევდა. სამხედრო წარუმატებლობები, შემოსავლების შემცირება, საშინაო და საგარეო საფრთხეები - იმპერიის პრობლემების ის არასრული ჩამონათვალია, რამაც მათ გამოსავლის ძიებაზე მუშაობა დააწყებინა. ამ პროცესს უკავშირებენ „ოსმალობის" ცნების გაჩენას, ერთგვარი ნაციონალური კონსტრუქტის, რომელშიც რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების ადგილს „ოსმალო ერის" ცნება იკავებს.[37]

ეს პროცესი დაიწყო თანზიმათის რეფორმებით, რომელიც სამი პრინციპის გატარებას

---

[33] იქვე, 47-8.

[34] შაშიკაძე ზ., ოსმალთა მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობა და ეთნო-რელიგიური პროცესები, - ქართველ მუსლიმთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში, თბილისი, 2017, გვ. 20.

[35] სვანიძე მ., გიორგი ყაზბეგის ცნობები აჭარის შესახებ, გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, ბათუმი, 1960, გვ. 40-41.

[36] ამაზე ჯერ კიდევ ვ. ლისოვსკი მიუთითებდა. მისი აზრით, ისლამის გამო, ასევე მედრესეების გავლენით და სამხედრო ვალდებულებით, თურქული ფართოდ გავრცელდა - Лисовский В., Чорохский край (военно-статистический очеркъ), Тифлисъ, 1887, გვ. 58-59.

[37] აფხაზავა თ., ოსმანიზმი თურქულ ისტორიოგრაფიაში, - ნ. შენგელიას დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2008, გვ. 45-6.

ემსახურებოდა - სულთნის ყველა ქვეშევრდომის სიცოცხლის, პატივისა და ქონების ხელშეუვლობის გარანტიას, გადასახადების ზუსტად განაწილებას და აკრეფას, სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებას და რეკრუტში გაწვევის მოწესრიგებას. ცვლილებები უნდა შეხებოდა სასჯელაღსრულებას, რომელიც ამიერიდან კანონის ფარგლებში უნდა მოქცეულიყო; იცვლებოდა არამუსლიმთა პოზიციები ადმინისტრაციაში; განისაზღვრებოდა უფლებები; მნიშვნელოვანი იყო გადასახადების უნიფიცირების მცდელობაც, რაც ადგილობრივ მმართველებს გადასახადების აკრეფის უფლებას ართმევდა; ზოგი გადასახადი მცირდებოდა (აშარი, ჯიზიე), საგანგებო გადასახადები კი უქმდებოდა.

რეფორმების დიდი ნაწილი არც კი განხორციელებულა ან მცირე ხნით იმოქმედა (მაგ., საგადასახადო ცვლილებების ნაწილი); ცვლილება მხოლოდ სამხედრო წესებს და პირობებს შეეხო. [38] 1850 წელს, ჯიზიეს გადასახადის რეფორმამ ის სამხედრო ვალდებულებისაგან განთავისუფლების გადასახადად ჩამოაყალიბა (და არა არამუსლიმთა გადასახადად, როგორც ეს მანამდე იყო). მისი შეგროვება კი სპეციალურ პირებს (არამუსლიმთა გაერთიანების უფროსებს - ქოჯაბაშებს) დაევალათ.

რეფორმებს, პრინციპში, არანაირი დადებითი ცვლილება არ მოუტანია სოციალური თანასწორობის ან არამუსლიმების უფლებების კუთხით. [39] თუმცა, ყირიმის ომის შემდეგ, ოსმალეთს გარკვეული ვალდებულებების აღება მოუწია არამუსლიმებთან მიმართებით, სოციალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად და ცალკეული უფლებების მინიჭების კუთხით.[40] ამიტომ, თანზიმათის რეფორმის მეორე ეტაპი შეეხო მიწათმფლობელობის წესებს, რამაც შეცვალა თაფუს და თიმარის პრინციპი და მიწათმფლობელობის 5 კატეგორია ჩამოყალიბდა: მულქი (კერძო საკუთრება), მირია (სახელმწიფო), ვაყუფი (მეჩეთების და რელიგიურ დაწესებულებათა საკუთრება), მეთრუკე (საზოგადოებრივი საკუთრება) და მევათი (მკვდარი მიწა). ცვლილება შეეხო აშარის (მეათედის) აკრეფის წეს[41] და ადმინისტრაციული მმართველობის ფორმასაც. ახლა უკვე, იმპერია იყოფოდა ვილაეთებად, სანჯაყებად, კაზებად, ნაჰიებად და სოფლებად.[42]

თუმცა, უნდა ითქვას, რომ თანზიმათის რეფორმები და მისი რელიგიური პოლიტიკა ჩვენთვის საინტერესო რეგიონებზე ფაქტობრივად არ აისახებოდა, რადგან ამ დროისათვის, აქ, რელიგიური სურათი უკვე მთლიანად შეცვლილი იყო.[43]

---

[38] სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299-2000), თბილისი, 2007, გვ. 297-9
[39] იქვე. გვ. 301
[40] იქვე, გვ. 311-3
[41] იქვე, გვ. 313
[42] იქვე, გვ. 314.
[43] შაშიკაძე ზ., ოსმალთა მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობა და ეთნო-რელიგიური პროცესები, - ქართველ მუსლიმთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში, თბილისი, 2017, გვ. 31.

რატომ არის საინტერესო ეს რეფორმა და მისი დეტალები, რომელსაც ამდენი დრო დავუთმეთ? მისი მიზანი ადგილობრივი მმართველების გავლენის შესუსტება, სახელმწიფოს უნიფიცირება, ცენტრალიზებული მმართველობის ხაზის გაძლიერება იყო. ამ რეფორმის პარალელურ პროცესს წარმოადგენდა ქალაქ ბათუმის გადატანა ახალ ადგილზე.

თანზიმათის რეფორმამდე, ადგილობრივი ბეგები ხან სულთნის მხარდამჭერებად, ხანაც საკუთარი ინტერესებისათვის მებრძოლ ფეოდალებად გვევლინებიან. გ. ყაზბეგის მიხედვით, [44] XIX საუკუნეში, ახმედმ ფაშა ხიმშიაშვილმა, სულთანისათვის რომ ესიამოვნებინა, ნიზამი ანუ სამხედრო სამსახური და გადასახადები შემოიღო. ხოლო მის შემდეგ დამკვიდრებულმა ქეი ოღლიმ დანერგა თურქული ადმინისტრაცია და მოამზადა ნიადაგი საადგილმამულო გადასახადებისათვის. [45] როგორც ავტორი მიუთითებს, ამის შემდეგ, ოსმალეთის ხელისუფლებამ გამოითხოვა საადგილმამულო ფირმანები, თითქოს მათი გადასინჯვისა და გაახლებისათვის. მაგრამ, მათი მიღების შემდეგ, განაცხადა, რომ იმპერიის ყველა ქვეშევრდომს, განურჩევლად კლასისა და რელიგიისა, ერთნაირ საფუძველზე უნდა გადაეხადა გადასახადი და მოახდინა სამფლობელოების უნიფიცირება. გ. ყაზბეგის აზრით, „ამ აქტით დასრულდა თავისუფალი აჭარის ისტორია". [46] იმავეს აცხადებდა მეორე სამხედრო პირი, ვ. ლისოვსკი, რომელიც 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ესტუმრა ამ მხარეს. მისი ცნობით, ადგილობრივი ფეოდალების უფლებების და საკუთრების ასეთ შეკვეცას მათი აჯანყება მოჰყვა, თუმცა უშედეგოდ. [47] ნაწილობრივ, ამ ფაქტმაც განაპირობა ადგილობრივი ბეგების (განსაკუთრებით, შერიფ ხიმშიაშვილის [48]) ინტერესი რუსეთი იმპერიის მიმართ, რომლის დახმარებითაც, საკუთრების დაბრუნების იმედი ჰქონდათ.

უფრო დეტალურად კი, შეიქმნა შემდეგი ვითარება: 1834 წლის ადმინისტრაციული რეფორმით, დღევანდელი აჭარა მთლიანად ლაზისტანის სანჯაყში შევიდა. ამასთან, მიწათმფლობელობასთან დაკავშირებული რეფორმების ძირითადი ნაწილი, აჭარაში, 1844-1847 წლებში დაიწყო და მას, დაახლოებით, 10 წელი დასჭირდა.[49] ლაზისტანის სანჯაყი, რომელსაც მუთესარიფი ხელმძღვანელობდა, მოიცავდა 5 კაზას, რომელსაც კაიმაკები ხელმძღვანელობდნენ. ის, თავის მხრივ, 11 ნაჰიედ იყოფოდა, რომლებსაც მუდირები ხელმძღვანელობდნენ; მათ შემადგენლობაში შედიოდნენ თემები, რომელსაც

---

[44] ის რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფი სამხედრო პირი იყო და 1874 წელს, რეგიონს სამხედრო-სადაზვერვო მისიით სტუმრობდა.

[45] გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, ბათუმი, 1960, გვ. 112, 119.

[46] იქვე, გვ. 120.

[47] Лисовский В., Чорохский край (военно-статистический очеркъ), Тифлисъ, 1887, გვ. 33-34.

[48] თანზიმათის გამო, შერიფ ხიმშიაშვილმა საკუთრებაში მქონე მიწა ოსმალეთის მმართველობის დროს დაკარგა; მან რუსეთის იმპერიის მხარე დაიჭირა, სამხედრო ჩინიც მიიღო, თუმცა, მის საკუთრებაში მქონე მიწების დაბრუნება ვერ შეძლო, რადგან რუსეთმა, როგორც მანამდე ოსმალეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები - ამავე სტატუსით მიითვალა - თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1985, გვ. 273-374.

[49] ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათუმი, 1999, გვ. 21.

მუხტრები ედგნენ სათავეში.[50] ყველა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულს თავისი მეჯლისი ჰყავდა. სასამართლო ფუნქციას კაზის დონეზე ყადი ახორციელებდა. დღევანდელი აჭარა წარმოდგენილი იყო ზემო (ულია) და ქვემო (სუფლია) აჭარის, ჩურუქ-სუს, ბათუმის, მაჭახელასა და გონიოს ოლქებით, რომლებიც 4 კაზაში იყვნენ გაერთიანებულნი.[51] ამ პერიოდის აღწერები, ძირითადად, ერთი სახის იყო - აღიწერებოდა კომლები და კომლში მაცხოვრებელი მამაკაცები; აღწერის მიზანი იყო, როგორც გადასახადების რაოდენობის დადგენა, ასევე, განსაკუთრებით, იმ მეომრების რაოდენობის განსაზღვრა, რომლის გამოყვნაც ამ რეგიონიდან შეიძლებოდა.[52]

ამასთან, ამ პერიოდში, ბათუმი ლაზისტანის საფაშოს დედაქალაქი გახდა, რომელსაც მუთასარიფი მართავდა და ის უშუალოდ ემორჩილებოდა პორტას და არა ტრაპიზონს.[53]

რა ხდებოდა ამ პერიოდისათვის ბათუმში? ბათუმი, ძველი დასახლება, ციხე და ნავსადგური, რომელიც მდინარე ყოროლისწყლის შესართავის მარცხენა მხარეს ფიქსირდებოდა, თანდათან დაკნინდა და დაკარგა მნიშვნელობა. არადა, იმპერიას, ამ მხარეში, სავაჭრო და სამხედრო მიზნებისათვის, დასახლებები და პორტი სჭირდებოდა. დღევანდელი ბათუმის ტერიტორიაზე ქალაქის განაშენიანება უკეთესი ნავსადგურის საჭიროებას უკავშირდებოდა. XIX საუკუნის დამდეგისათვის, თანდათანობითი ადგილმონაცვლეობა თითქმის დასრულებულია. ამის მიუხედავად, ქალაქის ძველი ციხე ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა (ქალაქს, 1807 წელს, ფრანგი მოგზაური ადრიან დიუპრე სტუმრობდა). 1807 წლიდან, ქალაქის განაშენიანების მიზნითა და ახალი უბნების შესაქმნელად, ოსმალეთის ხელისუფლებამ ბერძენ და თურქ ემიგრანტებს (1866 წლიდან კი აფხაზ მუჰაჯირებსაც) დართო ნება, ქალაქში არენდის წესით აეღოთ ტერიტორია.

1863 წელს, სულთან აბდულ–აზიზის მმართველობის დროს, გაიცა ფირმანი, რომლის მიხედვითაც, ტრაპიზონის ვილაეთის ვალის ბათუმის ნავსადგურის ჩრდილო–დასავლეთ ნაწილში ახალი ქალაქი უნდა აეშენებინა, რომელიც ლაზისტანის საფაშოს ცენტრი გახდებოდა.[54] გეგმა ითვალისწინებდა ქუჩების დაგეგმარებას გეომეტრიული წესით და დადგენილი სიფარით. ქალაქი უბნებად უნდა დაყოფილიყო, რომლის ცენტრშიც მეჩეთი უნდა აგებულიყო. 1868 წლისათვის, ახალი ქალაქის მშენებლობა დასრულებულია (1864–1866 წლებში, კონცხის ჩრდილო–დასავლეთ ნაწილში,

---

[50] ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 16, 21.

[51] გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, ბათუმი, 1960, გვ. 52; ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 70. Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, Тифлись, 1879, გვ. 3-4.

[52] Gümüs Nebi, Acara Tarihi İçin Yeni Bir Kaynak: Nüfüs Defterleri ve Muhacirlik Öncesi Acara'da Müslüman Nüfus (1835), – კრებული VII, ბათუმი, 2013, გვ. 141-2.

[53] ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 24.

[54] Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, Тифлись, 1879, გვ. 62; სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან, 1958, გვ. 75–117; 9. უზუნაძე რ., ნაოსნობა ბათუმის ოლქში, 2001, გვ. 67–104; უზუნაძე რ.,ბათუმის საქალაქო და საზოგადოებრივი ცხოვრება (XII ს. – XIX ს. I ნახევარი), – სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), ტომი II, ბათუმი, 2009, გვ. 573–580; შაშიკაძე ზ., ბათუმი XVI ს–ის მეორე ნახევარში, ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა, I, ბათუმი, 2009, გვ. 22–26 და სხვა.

ოსმალებმა ქვის ზარბაზნებით გამაგრებული სიმაგრე “ბურუნ თაბიე” ააგეს). ქალაქი ხუთ უბნად გაიყო.[55] ამ პერიოდიდან, თანდათან იზრდებოდა ქალაქის მნიშვნელობა, სადაც ორსართულიანი სახლები, გუბერნატორის რეზიდენცია,[56] სასამართლო და სხვა შენობები იყო განლაგებული. ოსმალური იმპერიის პერიოდში, ბათუმის დანიშნულება, ძირითადად, სამხედრო, სანაოსნო და სავაჭრო დატვირთვით შემოიფარგლებოდა. ოსმალეთის მმართველობის გვიან პერიოდში, ბათუმში, მუთესარიფის რეზიდენცია იყო. 1807 წლისათვის, ბათუმში, 200-მდე მოსახლე ცხოვრობდა.[57] შემდგომ წლებში მათი რაოდენობა მატულობს და ტრაპიზონის კალენდრის მონაცემებით, ომის წინა პერიოდში, ბათუმში მოსახლეობა 3000-მდე იზრდება.[58] ამ პერიოდში, ჩნდება ჩერქეზების დიდი ჯგუფიც,[59] რომელთა დანიშნულებაც რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში, სასაზღვრო ზონის გამაგრება იყო. მოგვიანებით, წყაროებში ეს ჯგუფი აღარ ფიქსირდება.

ომის წინა პერიოდის ქალაქის აღწერებში, ბათუმს დიდ სოფელს ადარებენ. ის ძირითადად ხის, ორსართულიანი შენობებით იყო აგებული, რომელსაც ჭაობი და ტყე ესაზღვრებოდა.

როგორც უკვე აღინიშნა, უფრო მეტი მასალა ხელმისაწვდომია თანზიმათის პერიოდებზე. ამ დროისათვის ადგილზე საქმის წარმოებას მეჯლისი და მუდირი-მუჰტარი კურირებდნენ. აქედან, მეჯლისი ასრულებდა სასამართლო-ადმინისტრაციულ ფუნქციებს - სისხლისა და სამოქალაქო სამართლის და საერთო საქმეებში (ოჯახის, ცოლქმრობის, მოტაცებისა და განქორწინების საკითხები[60]). ოლქში სასამართლოს ყადი ხელმძღვანელობდა (სასულიერო იურიდიული პირი, კვირაში ერთხელ, პარასკეობით, მეჩეთში ლოცვის შემდეგ, არჩევდა საკითხებს[61]), რომლის არყოფნის შემთხვევაშიც, მის ფუნქციას ოლქის უმაღლესი სასულიერო პირი - მუფტი ასრულებდა.[62] ცალკეული სოფლების დონეზე, სოფლის მოსახლეობა კაიმაკებისა და მუდირების ადგილსამყოფელში იყრიდა თავს, სადაც, უმთავრესად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქურდობის და სისხლის აღების საქმეები წყდებოდა (ისიც დღევანდელ ქვემო აჭარაში).[63] აჭარაში განსაკუთრებული პატივითა და ყურადღებით მაინც ბეგები სარგებლობენ, რომლებიც, ცალკეულ შემთხვევაში, ოსმალური წესების

---

[55] ავალიანი ა., მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში (თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლების წინ XIX საუკუნის 40-70იანი წლები), ბათუმი, 1960, გვ. 98; უზუნაძე რ., ნაოსნობა ბათუმის ოლქში, 2001, გვ. 67–104.

[56] ი. კალფოღლუ მიუთითებს, რომ 1818 წელს, ლაზისტანის მუთესარიფი ახმედ ხიმშიაშვილი იყო, რომლის რეზიდენციაც ბათუმგორაზე იყო, საიდანაც ის ყურესთან ახლოს გადააქვს - Кальфоглу И., Древнейшие известия о Батуме, ИКОИРГО, т. XVIII, №1, Тифлисъ, 1905, გვ. 41.

[57] გამბა ჟ., მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბილისი, 1987, გვ. 262.

[58] Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, Тифлись, 1879, გვ. 11.

[59] Казбек Г., Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского санджака. Тифлись, 1876. გვ. 10-11.

[60] სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბილისი, 1950, გვ. 140-141.

[61] ყაზბეგის ცნობები აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960, გვ. 84.

[62] Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, Тифлись, 1879, გვ. 70-71.

[63] ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 61.

მიუხედავად, მონაწილეობდნენ რეგიონის მართვაში.[64] როგორც ნიკო ბერძენიშვილის არქივში დაცული მასალებით ირკვევა, ეს სისტემა მეტად თავისებური იყო და ადგილობრივ ბეგებს, ცალკეულ შემთხვევაში, ქრთამის ან სხვა მიზეზის გავლენით, შეიძლება გადაწყვეტილება ვინმეს სასარგებლოდ მიეღოთ (როცა საუბარი მიწის საზღვრებს, წყლის გაყვანას, საქონელზე დავას ან სხვა თემებს ეხებოდა).[65] სადავო საკითხის განხილვა, უმეტესწილად, მაშინვე ხდებოდა. მოდავეებს სთავაზობდნენ მორიგების ვარიანტებს და თუ ისინი ვერ შეთანხმდებოდნენ, ხდებოდა წერილობითი გადაწყვეტილების მიღება.[66] როგორც ჩანს, ადგილობრივი ორგანოები - მეჯლისი და სასამართლო - გადაწყვეტილებების მიღებისას ადათსა და შარიათს ეყრდნობოდა.[67] სამართალწარმოებას უკავშირდებოდა მოსახლეობისათვის დაკისრებული გადასახადი - რემში, რომელსაც, ძირითადად, სამოქალაქო საქმეებიდან იღებდნენ (თუ საქმე სადავო არ იყო, 40 ყურუშიდან 1 ყურუშს იხდიდნენ, ხოლო თუ საქმეზე არსებობდნენ მოდავეები, მაშინ გადასახადი 2 ყურუშს შეადგენდა[68]). მმართველობის ეს წესი, ცენტრალიზაციის მიუხედავად, ადგილობრივი ელიტის გაძლიერებას უწყობდა ხელს; თუმცა, ელიტა იმდენად დამოკიდებული ხდებოდა ცენტრალურ გადაწყვეტილებაზე, რომ ალტერნატიული გზების მოძიებაც კი დაიწყო.

ოსმალური მმართველობისა და სამართლის სისტემა ისლამის საფუძვლების, შარიათის და სხვა შესაბამისი ცოდნის მქონე პირების არსებობას მოითხოვდა. სასულიერო სასწავლებლები ოსმალეთში, ძირითადად, მეჩეთებთან არსებულ მექთებებსა[69] და მედრესეებში[70] მიმდინარეობდა.[71] რეფორმები საგანმანათლებლო სივრცესაც შეეხო, თუმცა, ნაწილობრივ. შეიქმნა სხვადასხვა სახის საერო (რუშტიე) და პროფესიული სასწავლებლები.[72]

თანზიმათის პერიოდში, აჭარაში, მედრესეების ფართო ქსელის არსებობას სხვადასხვა ავტორი აღნიშნავს,[73] საიდანაც წარმატებულ მოსწავლეებს, ვაყუფის ხარჯზე, აგზავნიან

---

[64] "ამ ხნის განმავლობაში, გარშემო გვეხვია ბეგთან სხვადასხვა საქმეზე მოსული აჭარელთა დიდი ჯგუფი. ყოველი მათგანი უახლოვდებოდა ბეგს, უკოცნიდა ტანსაცმლის ქობას, ხელს შუბლზე იდებდა, შემდეგ უკან იხევდა და საპატიო მანძილიდან თვის საქმეზე მოახსენებდა. გლეხები დიდ პატივს სცემენ თვის ბეგს და ბრმად ემორჩილებიან ყველაფერში.." (ყაზბეგი გ. დასახ.ნაშრ., გვ. 96, 98).

[65] ნბიეა, ფ. 5-37, გვ. 53-61.

[66] Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, Тифлись, 1879, გვ. 72.

[67] Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, Тифлись, 1879, გვ. 70-71. აქ და შემდგომ ადათობრივი და ჩვეულებითი სამართლის შესახებ იხ.: ჩიტიძე ზ. მმართველობისა და თვითმმართველობის ფორმები აჭარაში (XV-XIX სს), ბათუმი, 1978; მგელაძე ვლ., ხალხური მმართველობის ისტორიიდან აჭარაში - ლიტერატურული აჭარა, 1964, #3; ზოიძე ო., სასამართლო ორგანიზაცია აჭარაში ჩვეულებითი სამართლის მიხედვით - კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, ბათუმი, 1996, გვ. 63-78.

[68] Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, Тифлись, 1879, გვ. 67.

[69] დაწყებითი სასულიერო სასწავლებელი, რომელშიც ყურანის კითხვასა და ძირითადად, რელიგიურ მოთხოვნებს ასწავლიან (ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი. თბილისი, 1999. გვ. 129).

[70] უმაღლესი სასულიერო საწავლებელი (ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი. თბილისი, 1999. გვ. 119-120).

[71] Дулина Н., Танзимат и Мустафа Решид-Паша, Москва, 1984, გვ. 133

[72] სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299-2000), თბილისი, 2007, გვ. გვ. 314-6.

[73] მაგ., - Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, Тифлись, 1879, გვ. 85, 126; ახვლედიანი ხ., ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16-მე19 საუკუნეები), ბათუმი, 1943, გვ. 123-128; სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა,

ბათუმის მედრესეში. იქიდან იმ მოსწავლეებს, რომლებიც ნიჭს და უნარს გამოავლენენ, აგზავნიდნენ სტამბოლში, შეიხ-ულ-ისლამის სკოლაში.[74] ბათუმში, ამ პერიოდში, მოქმედებდა რუშტიეს ტიპის სასწავლებელი, რომელშიც სწავლა 20 პიასტრი ღირდა.[75] ასევე, იყო დილის დერსები, „ასაკს გადაცილებული ახალგაზრდებისათვის", რომლებიც მეცადინეობას სამსახურისგან მოუწყვეტლად გადიოდნენ.[76] თურქული ენის პარალელურად, ასევე ფიქსირდება ღვთისმსახურებისა და ქართულენოვანი სწავლების მცდელობებიც.[77] უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთის პერიოდში, ცალკეულმა პირმა იმდენად დიდ წარმატებას მიაღწია, რომ ოსმალეთში სხვადასხვა მაღალი თანამდებობა დაიკავა.[78] ანუ, განათლება პირადი კარიერული ზრდის შესაძლებლობას წარმოშობდა, მაგრამ ის ცენტრალიზებული სისტემის სამსახურში იდგა და შესაბამისად, მიმართული იყო მხოლოდ სისტემისადმი ლოიალური კადრების წახალისებაზე და არა ზოგადად განათლებაზე. რეფორმის შედეგად, საგანმანათლებლო სისტემა ახალი ნაციონალური პროექტის ნაწილად უნდა ქცეულიყო.

ამ სისტემის ფარგლებში, მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდა მეჩეთებს. ისინი წარმოადგენდნენ არა მარტო სალოცავ ადგილებს, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური ფუნქციაც ჰქონდათ. მეჩეთი თავშეყრისა და ადგილობრივი დავების განხილვის ადგილსაც წარმოადგენდა. საყურადღებოა, რომ მეჩეთში, პერიოდულად, სხვადასხვა სახის ქადაგებები იმართებოდა, რომლებიც მიმდინარე საკითხებისა და პრობლემების განხილვას ეხებოდა (ანუ, განიხილებოდა სოფლის, თემის ან იმპერიის პრობლემები). რაც შეეხება მეჩეთების მშენებლობას, ამ პროცესის დაწყების თარიღი, აჭარაში, საკმაოდ ძნელი დასადგენია, რადგან, როგორც მშენებლობა, ასევე გადაკეთების თარიღები, ხშირად, დატანილი არ იყო მეჩეთებზე. მეჩეთების მშენებლობის ნებართვები (რომელიც ოსმალეთის პერიოდში სავალდებულო იყო) კი არ არის ხელმისაწვდომი.[79] თუ სხვადასხვა მონაცემის შეჯერებით მოპოვებულ ცნობებს დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის არსებული მეჩეთებიდან 20 ოსმალეთის პერიოდში აიგო.[80] თუმცა, არ უნდა გამოირიცხოს, რომ მეჩეთების რაოდენობა შეიძლება უფრო მეტი ყოფილიყო. ისინი, ძირითადად, თემის ცენტრებში

სამურზაყანო, აფხაზეთი), თბილისი, 1950, გვ. 183; ყაზბეგის ცნობები აჭარის შესახებ, ბათუმი, 1960, გვ. 88.; ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 19 და სხვ.

[74] Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, Тифлись, 1879, გვ. 85; "დროება" #270, 24 დეკემბერი, 1882 წ.; ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 73; ახვლედიანი ხ., ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16-მე19 საუკუნეები), ბათუმი, 1943, გვ. 129, 131 და სხვ.

[75] Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, Тифлись, 1879, გვ. 84.

[76] ახვლედიანი ხ., ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16-მე19 საუკუნეები), ბათუმი, 1943, გვ. 131.

[77] ჭიჭინაძე ზ., მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი, 1913, გვ. 112-113, 307-311; ზ.. ჭიჭინაძეს, აჭარაში ზოგიერთი ლოცვის ქართული ტრანსკრიპტები მოუმზადებია, მოგვიანებით კი, ქართულ ენაზე ნათარგმნ, ე. წ. მირიანაშვილის ყურანს ავრცელებდა -ზ.ჭიჭინაძის სტატია - ქართული წიგნი #12, 2001 გვ. 8-9.

[78] დაწვრ. იხ., ქასაბი მ., ოსმალეთის ქართველები, პირველი გამოშვება (მთარგმნელები: გელა გუნიავა, ემინ შექერჯი), საქართველოსთან მეგობრობის ასოციაცია, სტამბოლი, 2012.

[79] დაწვრ. იხ. Барамидзе Р., Мечети Аджарии (проблемы периодизации и классификации), - Лавровский Сборник: материалы XXXVI и XXXVII Среднеазиатско-Кавказских чтений 2012-2013, этнология, история, археология, культурология, СПБ, МАЭ РАН, 2013 გვ. 400-6.

[80] იქვე, გვ. 403.

იყო აგებული; მოგვიანებით, ახალი ქალაქის დაგეგმარებასთან ერთად, 3 მეჩეთი ბათუმშიც აიგო.

ოსმალეთის მმართველობის ბოლო წლებში, რეგიონის და პორტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, დიდი ყურადღება ექცეოდა კონტროლსა და დაცულობას. ამ მიზანს ემსახურებოდა მნიშვნელოვანი გარნიზონისა და ჩერქეზების დასახლების გაჩენა. ადგილობრივი ბეგების ნაწილი, საკუთრების ჩამორთმევის შემდეგ, არ ერიდებოდა რუსეთის იმპერიასთან მოლაპარაკებას, რამაც რეგიონში ოსმალეთის იმპერიის მარცხი განაპირობა.

რუსეთის იმპერია

რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდი ბათუმის ოლქში (რომლის ნაწილსაც დღევანდელი აჭარა წარმოადგენდა) 1878 წლიდან იწყება (სან-სტეფანოს ხელშეკრულების პირობებით). 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, ბათუმის პორტი და მიმდებარე ტერიტორია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში პორტო-ფრანკოს სტატუსით შევიდა.[81] ბათუმის პორტს, როგორც მოსახერხებელ და უსაფრთხო ადგილს, რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკები ომის წინა პერიოდშიც განიხილავდნენ.[82] ასევე, ის საინტერესო ეკონომიკურ ადგილსაც წარმოადგენდა ირანის მიმართულებით ვაჭრობის კუთხით.[83] პორტო-ფრანკოს შემოღება (1878 წლის 29 ოქტომბრიდან) დიდი ბრიტანეთის ინტერესებში შედიოდა; ამის შემდეგ, დასახლებაში დიდი რაოდენობით სხვადასხვა ინტერესის მქონე პირი ჩავიდა (ძირითადად ვაჭრები; შემდგომში კი, დასაქმების მსურველები).

ცვლილებებმა დასახლება თანდათანობით გარდაქმნა. იქ ცხოვრება გაძვირდა. დაიწყო მიწებით უკანონო და უწესრიგო ვაჭრობა. გაიზრდა სანაოსნო ტვირთბრუნვები. ამას, თავის მხრივ, ინტენსიური მშენებლობა მოჰყვა.[84] ცვლილებებმა ადგილობრივ მოსახლეობას უამრავი პრობლემა შეუქმნა - პორტო-ფრანკოს საზღვარზე გახსნილმა საბაჟოებმა ფაქტობრივად მოსპო შიდა ვაჭრობა. ამის მიზეზი იყო შეზღუდვები, საქონლის დათვალიერება-შემოწმება, ბაჟი, სასჯელები და ა.შ. სხვადასხვა გარემოების გავლენით, 1886 წლის 27 ივნისს, პორტო-ფრანკო გაუქმდა.[85]

როგორც ოსმალეთის, ისე რუსეთის იმპერიისათვის ბათუმის მნიშვნელობას, ძირითადად, პორტი განაპირობებდა. თუ ოსმალეთის დროს, ამის გამო, დასახლების

---

[81] ბათუმში პორტო-ფრანკოს შესახებ დაწვრ. იხ.: სურგულაძე აბ., სიორიძე მ., პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1996.
[82] АКТЫ, ტ. 4, გვ. 773, АКТЫ, ტ. 7, გვ. 758, АКТЫ, ტ. 10, გვ. 756 და სხვ.
[83] მაგ., ოსმალეთ-ირანის ომების დროს, განსაკუთრებით ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობის დროს (1578-9 წწ.), ბათუმის ნავსადგური ოსმალეთის ჯარის მოსამარაგებლად გამოიყენებოდა - სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299-2000), თბილისი, 2007, გვ. 153.
[84] სურგულაძე აბ., პორტო-ფრანკო ბათუმში, - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 270-1.
[85] იქვე, გვ. 275-6.

ცენტრმა სამხრეთით გადაიწია, რუსეთის იმპერიის დროს, ის გაფართოვდა და მოწესრიგდა (აიგო შუქურა; გაკეთდა ზვირთსაქცევი, მისადგომები, ხაზები და სხვ.); ამ ცვლილებების უკან რუსეთის იმპერიის სავაჭრო ინტერესები იდგა - ფეხს იდგამდა ნავთობის ექსპორტის საქმე.[86] ნავთობით ვაჭრობის პროექტის გაგრძელებას წარმოადგენდა, 1882 წლიდან დაწყებული, ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის საწარმოების მომრავლება, 1883 წელს რკინიგზის ხაზის ამოქმედება, 1907 წელს ნავთობსადენის მშენებლობა და სხვ. ინტენსიურმა ვაჭრობამ და ქალაქის ზრდამ სახლების, ფაბრიკების, სასტუმროების და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობის მშენებლობა გამოიწვია. დასახლების იერსახე კარდინალურად შეიცვალა და ამ პერიოდის დაგეგმარება და არქიტექტურა შემდგომში ბათუმის იერსახეს განსაზღვრავდა.

დღეისათვის, „ძველი ბათუმის" სახელით მოხსენიებული უბნები, მნიშვნელოვანწილად, ამ პერიოდში შექმნილი დაგეგმარების, უბნების გეომეტრიულობის, მათი სოციალური სპეციფიკის, არქიტექტურის ზღვაზე ორიენტირებისა და ფასადურობის შედეგია.[87] ქალაქგეგმარებით და არქიტექტურულ ცვლილებებს სოციალური და კულტურული ტრანსფორმაციაც მოჰყვა. რუსეთის იმპერიის პოლიტიკა მიმართული იყო არა „ქართული მიწების" შეგროვების, არამედ ბათუმის ოლქის საგანგებო ადგილის და როლის გამოყენებისკენ. ბათუმის ოლქში გაჩნდა მნიშვნელოვანი რუსული კოლონიები;[88] დაიწყო ახალი მიმართულებების განვითარება (სუბტროპიკული კულტურები);[89] ბათუმი შემდგომი ექსპანსიის ათვლის წერტილად განიხილებოდა (სიმბოლურად და სტრატეგიულად),[90] ამიტომაც ის ევროპული ყაიდის ქალაქად ყალიბდებოდა (ბულვარი, ბოტანიკური ბაღი, ინფრასტრუქტურა, არქიტექტურა).[91] ამიტომაც, 1888 წელს, იმპერატორის და მისი ოჯახის ვიზიტის დროს, მას ქალაქის სტატუსი მიენიჭა. ახალმა სტატუსმა უფრო მეტი ცვლილებები გამოიწვია (კონტროლის, მართვის თუ სიმბოლოების კუთხით).[92]

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ზრდა ინტენსიურად მიმდინარეობდა და მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული მნიშვნელობა თანდათანობით იზრდებოდა, XX საუკუნის დასაწყისში, იმპერიაში დაწყებულმა

---

[86] სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958, გვ. 75–117; უზუნაძე რ., ნაოსნობა ბათუმის ოლქში, 2001, გვ. 67–104;

[87] ჭიჭილეიშვილი მ., XIX-XX სს-ის მიჯნის ბათუმის ურბანული სახე, - ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი, 2013. გვ. 262-268.

[88] თურმანიძე ო., რუსული მმართველობის სისტემა და მხარის კოლონიზაცია - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 62-8.

[89] Батумъ и его окрестности, Батумъ, 1906, გვ. 223-251.

[90] ავტორთა ნაწილი ბათუმს რუსეთის იმპერიის მცირე აზიური პროექტების საყრდენ წერტილად განიხილავდნენ - მაგალითად, იხ.: სიჭინავა გვ. 18-20.

[91] რუსეთის იმპერიის პერიოდის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ბათუმმა მიიღო ევროპული, ნიცისმაგვარი იერი, მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამხედრო დატვირთვა - მაგ., იხ. Батумъ и его окрестности, Батумъ, 1906, გვ. 28-9.

[92] Батумъ и его окрестности, Батумъ, 1906, გვ. 644-6.

არეულობამ და შემდგომმა ომებმა ქალაქის ზრდის ტემპი შეამცირა. მოგვიანებით, უკვე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში კი, ის ჩაკეტილ ზონად იქცა, თავისებური პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური სოციალური და კულტურული პროექტებით, რომელთა კორექტირებას ნატოს ალიანსთან მეზობლობა განაპირობებდა.

როგორ აისახა ეს პროცესები რეგიონის მოსახლეობაზე? გარდა ზემოთ ხსენებული საკითხებისა, სან-სტეფანოს ხელშეკრულებით, ბერლინის კონგრესის შეთანხმებით და 1879 წლის კონსტანტინოპოლის ტრაქტატით, ასევე დადგინდა ადგილობრივი მოსახლეობის ემიგრაციის პირობებიც; ანუ, ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას შეეძლო მშობლიური სახლების მიტოვება და ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება - მუჰაჯირობა.[93]

მუჰაჯირობის მიზეზად მოსახლეობისათვის რელიგიურ-კულტურული ფასეულობების შეზღუდვის საშიშროება მიიჩნეოდა. თუმცა, როგორც სხვადასხვა ავტორი მიუთითებს,[94] მუჰაჯირობის გამომწვევ მიზეზებს შორის იყო ანტირუსული აგიტაცია,[95] რეგიონის დესტაბილიზაციის სურვილი და რეგიონიდან მოსახლეობის მიგრაციის ხელშეწყობა. კერძოდ, ოსმალეთის იმპერიას დაცარიელებულ რეგიონებში, სადაც საჭირო იყო მეურნეობის გაჯანსაღება, ერთმორწმუნე, ლოიალური მოსახლეობის ჩასახლება სურდა. მუჰაჯირების განსახლების რეგიონი ვრცელი იყო და მოიცვა შავიზღვისპირეთი, ცენტრალური ანატოლია, ხმელთაშუაზღვისპირეთი.[96] რუსეთის იმპერია, თავის მხრივ, დაინტერესებული იყო მოსაზღვრე რეგიონებში ლოიალური და იმპერიის ერთგული მოსახლეობის მომრავლებით, რაც იმპერიის თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენდა. ამავდროულად, მოსახლეობის უკმაყოფილებას და, შესაბამისად, მიგრაციას ხელს უწყობდა ახალი ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.[97] შედეგი კი ერთი

---

[93] მისი ოფიციალური ვადები 1879 წლის 3 თებერვლიდან, 1882 წლის 3 თებერვლამდე განისაზღვრა. არაოფიციალურად, გადასახლება XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. 1886 წელს, რუსეთმა ჩაკეტა საზღვარი თურქეთთან, თუმცა სხვადასხვა ფორმით და სახით მიგრაცია XX საუკუნის დასაწყისშიც გრძელდებოდა - იხ.: მეგრელიძე შ., აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882 წწ.), თბილისი, 1964; ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999. გვ. 41-77; სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1878-1907 წლებში), ბათუმი, 1958, გვ. 100-102 და სხვ.

[94] მეგრელიძე შ., აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882 წწ.), თბილისი, 1964; ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999, გვ. 41-77; და სხვა.

[95] აგიტატორები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ახალი ხელისუფლება შეზღუდავდა მოსახლეობის რელიგიურ უფლებებს, შეურაცხყოფას მიაყენებდა მათ გრძნობებს და დაუწესებდა მრავალ შეზღუდვას.

[96] შაშიკაძე ზ., ქართველთა მუჰაჯირობა თურქეთის შავი ზღვის რეგიონში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი, კრებული VII, რსუ გამომცემლობა, ბათუმი 2013, გვ. 145–152.

[97] მაგალითად, ამაზე მიუთითებს, მესხი ს., წერილები აჭარაზე, შეადგინა, კომენტარები, შენიშვნები და საძიებელი დაურთო რ.სურმანიძემ, ბათუმი, 2000, გვ. 161-175; მეგრელიძე შ., აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882), თბილისი, 1964, გვ. 9-40; ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999. გვ. 100-102 და სხვები.

უფრო მეტიც, მუჰაჯირობაზე საუბრისას, რუსეთის სამხედრო პირი ვ. ლისოვსკი რეგიონის აღწერის დროს, აღნიშნავს, რომ გადასახლების შემდეგ, მოსახლეობამ ერთგვარად ამოისუნთქა, რადგან განთავისუფლდა

იყო - იმის შიშით, რომ შემდგომში მსგავსი ინციდენტები და შეზღუდვები სარწმუნოებასაც შეეხებოდა, მოსახლეობა შეუდგა საკუთარი ქონების სასწრაფო გაყიდვას და ოსმალეთის ტერიტორიაზე გადასახლებას. ეს მიგრაცია მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებაში აისახა როგორც პიროვნული და საოჯახო ტრაგედია, რასაც ოსმალეთის სხვადასხვა რეგიონში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გადასახლებულ მუჰაჯირთა დასახლებების გაჩენა და მათთვის ახალი გამოწვევების გაჩენა მოჰყვა.

მუჰაჯირობას პარალელურად მოჰყვა ახალმოსახლეების შემოდინება. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 1877-78 წლების ომის პერიოდში, მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა, უკვე საუკუნის ბოლოსკენ, მოსახლეობის რაოდენობა თანდათან იზრდება.[98] დემოგრაფიული სურათი უფრო მრავალფეროვანია ბათუმში. კერძოდ, 1872 წელს, ბათუმში 4 500 მუსლიმი (ქართველები, ჩერქეზები, აფხაზები, თურქები), 120 სომეხი და 350 ბერძენი ცხოვრობდა.[99] ომის შედეგად, მოსახლეობის რაოდენობა 3 000-მდე შემცირდა; ხოლო, უკვე 1880 წლისათვის, რაოდენობა 3 500-მდე გაიზარდა. 1882 წელს, ქალაქის მოსახლეობა უკვე 8 671 მაცხოვრებელს აღწევდა,[100] 1889 წელს - 12 000-ს, 1890 წელს - 18 123-ს, 1897 წელს კი - 28 512-ს.[101] სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის მატება, ძირითადად, შემოსული, არამუსლიმი მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა (რელიგიურად მატულობდა მართლმადიდებლების, სომეხ-გრიგორიანელებისა და იუდეველების რაოდენობა).

მიწაზე საკუთრების კუთხით რუსეთის იმპერია, პირველ ეტაპზე, დაეყრდნო ოსმალურ სამართალს იმ კუთხით, რომ ომის პერიოდისათვის სახელმწიფო კუთვნილებაში მყოფი მიწა (მათ შორის, ხიმშიაშვილების მიწაც) თავის საკუთრებად გამოაცხადა (ეს შეეხო თავისუფალ მიწებს, ვაყუფებს, ბეგებისათვის ჩამორთმეულ ფართობებს და ა.შ.). მოსახლეობას მიწა მფლობელობა-სარგებლობის უფლებით ჰქონდა მიცემული, საიდანაც ხელისუფლება შესაბამის გადასახადებს აგროვებდა.[102] იმპერიული ადმინისტრაცია მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის პრობლემის მოგვარებას

ტერიტორიები, რადგან მანამდე ისინი ვერ პოულობდნენ საქმეს და ყაჩაღობით იყვენენ დაკავებულნი, რაც არ შედიოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებში - Лисовский В., Чорохский край (военно-статистический очеркъ), Тифлисъ, 1887, გვ. 88 (იმპერიული დემოგრაფიული პოლიტიკის შესახებ იხ.: სიორიძე მ., ცარიზმის დემოგრაფიული პოლიტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1879-1917,-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, IV, ბათუმი, 2002, გვ. 151-158.).

[98] სანიკიძე გ., ისლამი და მუსლიმები თანამედროვე საქართველოში, თბილისი, 1999, გვ. 12; სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბილისი, 1950, გვ. 161-163.

[99] Отчет консула Пальгрева за лето 1872 г., ИКОИРГО, т. VII, Тифлись, 1882, გვ. 115-116.

[100] მაგალითად, ამ პერიოდის მოსახლეობას შეადგენდა: ქართველი - 11.562, რუსი - 980, თურქი - 6037 (ამ პერიოდში თურქებად აღწერდნენ ასევე ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობასაც), აფხაზი - 377, სომეხი - 908, სპარსელი - 112, ბერძენი - 1106, გერმანელი - 145, ფრანგი - 24, იტალიელი - 13, ინგლისელი - 10, ებრაელი - 179. მათგან სარწმუნოების მიხედვით: მართლმადიდებელი - 3158, სომეხი-გრიგორიანელი - 436, სომეხი-კათოლიკე - 316, კათოლიკე - 176, მუსლიმი - 1281, იუდეველი - 179 - სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958, გვ. 115.

[101] Батумъ и его окрестности, Батумъ, 1906, გვ. 24.

[102] თურმანიძე ო., ცვლილებები მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ხასიათში და ფორმათა ევოლუცია, - სამხრეთ-დასავლეთ ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 169.

საადგილმამულო კომისიების, კანონებისა და რეგულაციების მეშვეობით ცდილობდა. თუმცა, ეს რთული პროცესი უშედეგოდ დასრულდა და მიწით სარგებლობის ფორმები და წესები, გარკვეულწილად, ოსმალური და რუსული ფორმების კომბინაციას წარმოადგენდა.[103] იგივე შეიძლება ითქვას საგადასახადო სისტემაზეც, რადგან 1900-იან წლებამდე, რუსეთის იმპერიამ ოსმალური გადასახადები შეინარჩუნა [104] (აშარი (მოსავლის მეათედი) საძოვრების, საკომლო, ტყის გადასახადი, ბაჟი, სააქციზო გამოსაღები და განსაკუთრებით შრომითი ბეგარა).[105]

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, რეგიონი განსხვავებულად იმართებოდა. ბათუმის ოლქი, რომელშიც ართვინის მხარეც შედიოდა, იმართება სამხედრო გუბერნატორის მიერ. 1883 წლის 12 ივნისიდან, სამხედრო გუბერნატორობა გაუქმდა და ბათუმის ოლქი გაიყო ორ - ბათუმისა და ართვინის ოკრუგად. 1903 წლის 1 ივლისამდე, ბათუმს ხელმძღვანელობდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის დამხმარე პირი. 1886 წლის 5 ივლისიდან, ანუ პორტო-ფრანკოს გაუქმებიდან რეფორმების შედეგად, ქალაქის მმართველობას დაემატა დუმა.[106] 1903 წლის 1 ივლისიდან, ბათუმი გამოეყო ქუთაისის გუბერნიას და ჩამოყალიბდა ბათუმის ოლქი, რომელსაც ხელმძღვანელობდა საგანგებო სამხედრო გუბერნატორი.[107] თ. სახოკიას ცნობით, შეერთების შემდეგ, აჭარა გაიყო ზემო და ქვემო საბოქაულოდ, ცენტრით ხულოსა და ქედაში, რომლის მეთაურებად ყოფილი სამხედროები ინიშნებოდნენ.[108]

რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში ამ მხარის შესვლის შემდეგ, რუსეთის იმპერიამ დატოვა შარიათსა და ადათზე დაფუძნებული სასამართლო სისტემა. სახელმწიფო სასამართლოებს მხოლოდ უმაღლესი, ანუ სახელმწიფო ინტერესების სფეროში შემავალი საქმეები გადაეცა. ზოგადი სამართალწარმოებით, სასამართლო საქმეებს ბათუმის ოლქის მოსამართლე განიხილავდა, რომელიც, თავის მხრივ, ემორჩილებოდა ქუთაისის ოკრუგის მოსამართლეს. სოფლის დონეზე, ადგილობრივი საკითხების განხილვისას, სასამართლო ფუნქციას ასრულებდნენ სოფლის უხუცესი (ანდა იმამი) და მეჯლისის წევრები. ისინი, ძირითადად, ქონების, ქორწინების, საოჯახო სამართლის საქმეებს განიხილავდნენ. უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენდა უბნის სახალხო სასამართლო (3 არჩეული პირი), რომელსაც გუბერნატორის მიერ დანიშნული ყადი ხელმძღვანელობდა. ისინი ექვემდებარებოდნენ ოკრუგის სახალხო სასამართლოს, რომელიც მხოლოდ მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებს არჩევდა.[109]

---

[103] იქვე, 169-173.

[104] თურმანიძე ო., მიწის რენტის ფორმები და საგადასახადო სისტემა, - სამხრეთ-დასავლეთ ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 185.

[105] იქვე, გვ. 184-192.

[106] საყურადღებოა ბათუმის დუმაში, ი. მესხის ცნობით, პირველ მოწვევაში, 1888 წელს, 4 ქართველი მუსლიმი იყო, თუმცა, შემდეგ, დუმაში რატომღაც მუსლიმები აღარ ფიგურირებენ - Батумъ и его окрестности, Батумъ, 1906, გვ. 487.

[107] Батумъ и его окрестности, Батумъ, 1906, გვ. 105, 108-109.

[108] სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბილისი, 1950, გვ. 158.

[109] Лисовский В., Чорохский край (военно-статистический очеркъ), Тифлисъ, 1887, გვ. 48-49. მსგავსი ცნობები აქვს მითითებული თ. სახოკიას (სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბილისი, 1950, გვ. 158-160), ი. მესხს (Батумъ и его окрестностию Батумъ, 1906, გვ. 465).

ადაპტირებული და კომბინირებული ინსტიტუტების გამოყენება ამარტივებდა ადმინისტრაციის ფუნქციონირებას, სიტუაციაზე კონტროლს და საკუთარი ინტერესების გატარებას. ამგვარი მიდგომები უკვე გამოყენებული იყო მუსლიმებით დასახლებულ სხვა რეგიონებში, რომელიც მიიერთა იმპერიამ.[110] კავკასიის შემთხვევაში, 1872 წელს, იმპერატორის მიერ ხელმოწერილი იყო ამიერკავკასიის მუსლიმი სასულიერო პირების მართვის დებულება, რომელიც არეგულირებდა სუნიტი და შიიტი მუსლიმების ყოველდღიურობას და პრაქტიკებს. [111] ვერტიკალური სტრუქტურა რელიგიურ, ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ მმართველობას ითვალისწინებდა, რომელთა საერთო კონტროლს კავკასიის მთავარმართებელი, ადგილებზე კი - გუბერნატორები და ადგილობრივი ხელმძღვანელები ახორციელებდნენ. სხვადასხვა პერიოდის სტატისტიკის ანალიზით ირკვევა, რომ სამმართველოს საქმიანობა, ბათუმის ოლქის გარდა, ამიერკავკასიის ყველა რეგიონს მოიცავდა.[112] როგორც ჩანს, ამ სისტემის დანერგვა ბათუმის ოლქში, ადმინისტრირების არსებულ ფორმატში, შეუძლებელი აღმოჩნდა.

იმპერიაში მოქმედი რეგულაციით, მუსლიმთა სამლოცველო უნდა გახსნილიყო ყველა დასახლებულ პუნქტში, სადაც მინიმუმ 200 მუსლიმი ცხოვრობდა. [113] მიუხედავად ამისა, შეიძლება დავაფიქსიროთ რამდენიმე პარალელური პროცესი. მუსლიმთა ორგანიზაციის კონტროლი, თუ მას დამოუკიდებელი შემოსავალი ექნებოდა, რთული იქნებოდა, ამიტომ, ვაყუფები [114] რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციამ სახელმწიფოს დაუქვემდებარა;[115] ბათუმში მოქმედი 3 მეჩეთის ნაცვლად, მოქმედება ერთმა გააგრძელა (ორთაჯამე), მეორე „მუფტიე" დაინგრა, ხოლო მესამე აზიზიეს სახელობის, თანდათან კარგავდა თავის მნიშვნელობას და ფუნქციას. [116] სოფლებში მეჩეთების რაოდენობა,

---

[110] მუსლიმების მრავალრიცხოვნობისა და თანამშრომლობის აუცილებლობიდან გამომდინარე, ეკატერინე მეორემ 1788 წლის 22 სექტემბერს, შექმნა „უფის სასულიერო მაჰმადიანური კანონის კრება" ცენტრით უფაში; ამავდროულად, დაიწყო მუსლიმთა შესწავლა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება - Смирнов Н., Очерк истории изучения ислама в СССР, Москва, 1954, გვ. 28-54.

[111] დებულება არეგულირებდა სასურველი რელიგიური პრაქტიკის შესრულების, ნებადართული განათლების, კონტროლირებადი ადმინისტრირების, სახელმწიფო დადგენილებებისა და განკარგულებების რეალიზებას, სახელმწიფოსადმი ლოიალობის ხელშეწყობას, თანამდევ სამეურნეო და ფინანსურ, იმპერიის მხარდაჭერისათვის გათვალისწინებულ თანამდებობრივ და სოციალურ წახალისებას - Положение объ управленіи Закавказскаго мусульманскаго духовенства Суннитскоаго ученія, от 5-го апреля 1872 года.

[112] Духовные правления мусульман закавказья в россиской импреии (XIX- начало XX в.), сост. А. Ганич, Москва, 2013.

[113] უფრო მეტიც, იმპერიული ხელისუფლება, საჭიროების შემთხვევაში, თუ ეს მის ინტერესებში შედიოდა, ადმინისტრაციული სასჯელის შიშით ითხოვდა მუსლიმურ წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების შესრულებას - Саидбаев Т., Ислам и общество (Опыт историко-социологического исследования), Москва, 1984, გვ. 121-122.

[114] ვაყუფი - ისლამური კანონების მიხედვით, რელიგიურ ან საქველმოქმედო სარგებლობაში გადაცემული ქონება.

[115] კერძოდ, მიწები გადავიდა სახელმწიფო საკუთრებაში, სასულიერო პირებს ან დაწესებულებებს, რომლებიც ამ ვაყუფების ხარჯზე არსებობდნენ - ამიერიდან სახელმწიფო ხაზინა უზრუნველყოფდა. სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მიწების გამოსყიდვა - აცსა, ფ. ი-81, ან.1 ს.1. ფ. 73-87; სსცსა, ფ. 229, ან. 1, ს. 1297, ფ. 2-8; სსცსა, ფ. 12, ან. 10, ს. 2026, ფ. 1-11.

[116] სხვადასხვა ცვლილების მიუხედავად, 1900 წელს, აზიზიეს სახელობის მეჩეთი ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა და მას გააჩნდა გარკვეული ვაყუფები შენობის ირგვლივ (სსცა, ფ. ი-7, ან.1, ს. 338. ფ 8-9); საკითხზე რეაგირების თხოვნით, მოგვიანებით, ოსმალეთის ელჩმა პეტერბურგში მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს; სავაყუფო საქმეების შესახებ საკითხები არაერთი განხილვის საგანი იყო ბათუმში, ადგილობრივი ადმინისტრაციის დონეზე (სსცა, ფ. ი-6, ან.1, ს. 238, ფ.38). 1888 წელს, ვაყუფის ცალკეული ნაკვეთები პოლიციამ კერძო პირებს გამოუყო,

მუჰაჯირობის გამო მოსახლეობის შემცირების მიუხედავად - თანდათანობით იზრდება. XX საუკუნის ბოლოსათვის, ამ პერიოდში აგებული და მოქმედი მეჩეთების რაოდენობა 36 შეადგენდა (მათგან 3 აღდგა, 4 გადაკეთდა).[117]

მსგავსი ცვლილებები შეეხო სასწავლო სისტემასაც. „მუფთიეს" მეჩეთის მიმდებარე მიწები და ბათუმის მედრესე სახელმწიფომ ასევე საკუთრებაში გადაიყვანა. ის, მოგვიანებით, გამოისყიდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და იქ პირველი ქართული სკოლა ააშენა.[118]

აჭარაში, ამ პერიოდში, მაინც რელიგიური სკოლები ჭარბობს. 1906 წელს, ბათუმის ოლქში, 28 საერო და 119 მუსლიმური სასულიერო სასწავლებელი ფუნქციონირებდა.[119] მთავარი ცვლილება შეეხო სასულიერო პირების საზღვარგარეთ გასვლას და სწავლებას. ამიერკავკასიის მუსლიმი სასულიერო პირების მართვის დებულება მიმართული იყო სასულიერო პირების წახალისებისაკენ, თუმცა კატეგორიულად იკრძალებოდა უცხოეთში სასწავლებლად გასვლა. [120] საგანმანათლებლო მიზნით, თბილისში ამოქმედდა სპეციალური სასულიერო სასწავლებელი სუნიტი და შიიტი მუსლიმებისათვის.[121]

რეგიონის მართვა მარტო ხსენებული სისტემების ცვლილებას არ გულისხმობდა. რუსეთის იმპერია თავის საგანგებო როლს ქრისტიანობის მხარდაჭერასა და გავრცელებაშიც ხედავდა. ამიტომ, კავკასიაში, მართლმადიდებლობის გამავრცელებელი საზოგადოება ჩამოაყალიბა, რომელსაც ადგილობრივები ქრისტიანობაზე უნდა მოექცია. [122] ამ მიზნით, 1889 წელს, გურია-სამეგრელოს ეპარქიასთან შეიქმნა „სამისიონერო განყოფილება", რომელსაც განსაკუთრებული კომიტეტი ხელმძღვანელობდა. ამ კომიტეტმა არაერთი ღონისძიება გაატარა აჭარაში, მათ შორის, ააგო ეკლესია ხულოში, თუმცა, მისი საქმიანობა, საბოლოო ჯამში,

---

რისგანაც მეჩეთი შემოსავალს იღებდა, ხოლო ქალაქს გადასახადებს უხდიდა. 1891 წელს, მეჩეთის სასარგებლოდ თანხის გადახდა გადაწყდა, იწყება საკითხის დაზუსტების პროცესი, რაც 1912 წელს მეჩეთის გაუქმებით და ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემით სრულდება (ბარამიძე ი., ბათუმის აზიზიეს მეჩეთის სავაყუფო მიწების საკითხისათვის,- საისტორიო მაცნე (შრომების კრებული), XIII, ბათუმი, 2004, გვ. 40-43).

[117] საერთოდ, ამ პერიოდის მეჩეთების სტატისტიკა, გარკვეულწილად, არაერთგვაროვანია. ოსმალეთის პერიოდში აჭარაში მყოფი ავტორები (მაგ., ვ. ლისოვსკი, ა. ფრენკელი, დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი და სხვ.) ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ყველა სოფელში იყო მეჩეთი. აქვე უნდა ითქვას, რომ სოფლების რაოდენობა იცვლებოდა, ისევე, როგორც რუსეთის იმპერიის დროს. დაწვრ. იხ. Барамидзе Р., Мечети Аджарии (проблемы периодизации и классификации), - Лавровский Сборник: материалы XXXVI и XXXVII Среднеазиатско-Кавказских чтений 2012-2013, этнология, история, археология, культурология, СПБ, МАЭ РАН, 2013 გვ. 403.

[118] ნიორაძე გ., პირველი ქართული სკოლა ბათუმში, თბილისი, 1958, გვ. 83-90.

[119] Батумъ и его окрестности, Батумъ, 1906, გვ. 17.

[120] Положение объ управленіи Закавказскаго мусульманскаго духовенства Суннитскоаго ученія, от 5-го апреля 1872 года; ანდრიაშვილი რ., ისლამის დოგმატიკა და სოციალური მოძღვრება, თბილისი, 1984, გვ. 40.

[121] ანდრიაშვილი რ., ისლამის დოგმატიკა და სოციალური მოძღვრება, თბილისი, 1984, გვ. 41; ბაინდურაშვილი ხ., ისლამი და მუსლიმები XIX საუკუნის თბილისში (სტაგნაციის პერიოდი), - ნოდარ შენგელია, 75, თბილისი, 2008, გვ. 50.

[122] ადგილობრივები ქრისტიანებად (ან ყოფილ ქრისტიანებად) განიხილებოდნენ, რომელთა უკან მოქცევა იყო საჭირო.

წარუმატებელი აღმოჩნდა.[123]

იმპერიული, ექსპანსიონისტური პოლიტიკის და ქრისტიანობის მხარდაჭერის იდეის გამოხატულებას ბათუმში, 1888 წელს, სანაპიროსთან დაწყებული ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო-მართლმადიდებლური საკათედრო ტაძრის მშენებლობა წარმოადგენდა. ის XX საუკუნის დასაწყისში დაუსრულებიათ. თავისი ადგილმდებარეობით, მასშტაბითა და სიდიდით, ის ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დომინანტს წარმოადგენდა და მას რუსეთის იმპერიის საგანგებო როლისთვის და ადგილისთვის უნდა გაესვა ხაზი.[124]

1887 წლის მდგომარეობის აღწერისას, რუსეთის იმპერიის სამხედრო პირი ვ. ლისოვსკი, რომელიც მხარის მდგომარეობას კოლონიური პოზიციებიდან აფასებდა, მიიჩნევდა, რომ პოლიტიკა მუსლიმების მიმართ, საერთო ჯამში, წარმატებული იყო. [125] მიუხედავად ამისა, ადგილი ჰქონდა ანტიიმპერიულ გამოსვლებსაც, რომელიც რეგიონის სერიოზული ტრანსფორმაციის გამო დაიწყო.[126]

თუ, XIX საუკუნის ბოლოს, ბათუმი და მიმდებარე ტერიტორიები ინტენსიურად ვითარდებოდა, XX საუკუნიდან დაწყებულმა პოლიტიკურმა გაურკვევლობამ, არასტაბილურობამ, ქაოსმა და ძალადობამ გამოიწვია მიგრაციები, პოლიტიკური და სოციალური მღელვარება, ეკონომიკური დაცემა, პერმანენტული კრიზისები, რესურსებისა და პროდუქტების პერიოდული უკმარისობა. 1900-იანი წლების დასაწყისში, პირველი რევოლუციის პირობებში, რუსეთის იმპერია გაფიცვებისა და პროტესტების ტალღამ მოიცვა, რაც ასევე აისახა რეგიონზეც. რეგიონში, წინა წლებში, სამრეწველო პროექტების წყალობით, მნიშვნელოვნად მოიმატა მუშების რაოდენობამ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ მოძრაობებში. ქალაქი ბათუმი, პოლიტიკური აქტივისტების მოქმედების გამო, პერიოდულად, სრულიად პარალიზებული იყო, ხოლო რუსეთის იმპერიაში პირველი

---

[123] Обзоръ дѣятельности общества возстановления православнаго христіанства на Кавказе за 1860-1910 гг. Тифлисъ, 1910, გვ. 37-42, 145-148.

[124] ჭიჭილეიშვილი მ., ბათუმის საკულტო არქიტექტურის ძეგლები, - აჭარა ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები, ბათუმი, 2016, გვ. 276-7.

[125] "მართვისათვის ჩვენს მიერ შერჩეული პოლიტიკური სისტემა გამოირჩევა სირბილით: ისლამი, რომელზეც ჩვენი თავდასხმის ასე ეშინოდათ ადგილობრივებს, ხელუხლებელი დარჩა; მოსახლეობის განიარაღებაში განსაკუთრებული გადახრები არ შეინიშნება; პირიქით, ამას მოსახლეობა ნდობით ეკიდება; ბათუმის ოკრუგის ცალკეული ნაწილის ხელმძღვანელებად ადგილობრივები არიან არჩეული; საერთო სამხედრო სამსახური, რომელიც ვ. ლისოვსკის სიტყვებით რელიგიურ პრობლემებზე მეტად აშინებდათ, მათ ჯერ კიდევ არ შეხებიათ; ადგილობრივებს მიეცათ განსაკუთრებული სახალხო სასამართლო, რომელშიც ისინი სამართალწარმოებას საკუთარი კანონებისა და ჩვეულებების შესაბამისად აწარმოებდნენ თანატომელებთან და ერთმორწმუნეებთან; გადასახადებზე შემოღებულია შეზღუდვები, რომელიც არაა მძიმე" - Лисовский В., Чорохский край (военно-статистический очеркъ), Тифлисъ, 1887, გვ. 70.

[126] მაგ., „შურისმაძიებელთა" სახელით ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციის ბრძოლა იმპერიული ადმინისტრაციის წინააღმდეგ - მეგრელიძე შ., აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882), თბილისი, 1964, გვ. 16-17.

რევოლუციის გავლენით, რეგიონი ქაოსმა, ანარქიამ და ძალადობამ მოიცვა.[127] პირველი მსოფლიო ომის წინარე პერიოდში, აჭარაში არა მარტო სხვადასხვა პარტია ან ორგანიზაცია, არამედ პროოსმალური ჯგუფებიც მოქმედებდნენ. რეგიონი წინასაომარ ვითარებაში იმყოფებოდა, რასაც სადაზვერვო, დივერსიული და აგიტაციური საქმიანობის მატება მოჰყვა. ამ ფონზე, რუსული ადმინისტრაცია კრიტიკულად ეკიდებოდა ოსმალეთში განათლებამიღებულ სასულიერო პირებს და პროოსმალურ აგიტატორებს. [128] ამ პროცესებმა და მათზე შემდგომმა რეაქციამ მაცხოვრებელთა მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

პირველმა მსოფლიო ომმა, რომელიც მცირე ხნით ბათუმის ოლქის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა, რუსეთის იმპერიის მოუმზადებლობის გამო, საწარმოების დაზიანება-განადგურება, სოფლების დაზარალება და მოსახლეობის გახიზვნა გამოიწვია.[129] ომის პირველი ეტაპის წარუმატებლობა, იმპერიულმა ადმინისტრაციამ, ადგილობრივი მოსახლეობის ღალატს მიაწერა, რასაც მოჰყვა ადგილობრივი მუსლიმი (აჭარელი) მოსახლეობის ბრალდება სახელმწიფო ღალატში (დაკავება, ადგილზე სიკვდილით დასჯა, გასამართლება, გადასახლება და ა.შ.); ცალკეული ჩინოვნიკისა თუ სამხედრო პირის, ასევე ქართული ორგანიზაციების პროტესტის შედეგად, ძალადობა აღიკვეთა, ხოლო პროცესი თანდათან შენელდა. საბოლოოდ, „ღალატის საქმე" 1918 წელს, ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ მიღებული, სპეციალური დადგენილებით დასრულდა, რასაც ბრალდებულების და მსჯავრდებულების განთავისუფლება მოჰყვა.[130]

რუსეთის იმპერიის პერიოდი მკაფიო გეგმით გამოირჩეოდა, რომელიც საგანგებო კონტროლს, ექსპანსიური იდეების პროპაგანდას და სიმბოლური მნიშვნელობების დანერგვას გულისხმობდა. რუსული ადმინისტრაციის მოსვლას მოსახლეობის დიდი ნაწილის მიგრაცია მოჰყვა, რომლის პარალელურადაც, რეგიონში, შემოსავლის მაძიებელთა დიდი ჯგუფი შემოვიდა. რუსული ადმინისტრაცია ხელს უწყობდა ლოიალურად განწყობილი მოსახლეობის კოლონიების გაჩენას, ახალი სამეურნეო დარგების განვითარებას და ქალაქის მოდერნიზაციას. XX საუკუნის დასაწყისში დაწყებული არეულობა და შემდგომი ომი რეგიონზე ნეგატიურად აისახა და ის ქაოსმა

---

[127] გოგოლიშვილი ო., ბათუმის ოლქი 1905-1907 წლების რევოლუციაში, - სამხრეთ-დასავლეთ ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 327-39.

[128] გოგოლიშვილი ო., საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება 1908-1914 წლებში, - სამხრეთ-დასავლეთ ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 339-348

[129] სიორიძე მ., ბათუმის ოლქი ოსმალეთისა და მისი მოკავშირეების გეგმებში. ბრძოლა ბათუმისათვის 1914-1915 წწ., - სამხრეთ-დასავლეთ ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 367-373.

[130] სხვადასხვა პერიოდში, ღალატში (უმეტესწილად უმიზეზოდ) 5000-მდე ადამიანს სდებდნენ ბრალს; კონკრეტული საქმეები რამდენიმე ასეულ ადამიანს შეეხო - ნაწილი ადგილზე დასაჯეს სიკვდილით, ნაწილი კი გაასამართლეს; ამის პარალელურად, ადგილი ჰქონდა ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის დაშინების, ქონების ჩამორთმევის, გადასახლების ან დასმენის მცდელობებს სხვადასხვა ჯგუფის თუ პირების მხრიდან - სურგულაძე აბ., სიორიძე მ., საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, - სამხრეთ-დასავლეთ ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 383-391.

და განუკითხაობამ მოიცვა.

პირველი რესპუბლიკა.

პირველ მსოფლიო ომს რუსეთის იმპერიის რღვევა მოჰყვა. გარდამავალ პერიოდში, რევოლუციების დროს, ცენტრალური მმართველობა სრულად მოიშალა, რისი აღმოფხვრაც ამიერკავკასიის კომისარიატმა სცადა. სიტუაცია იმდენად რთული იყო, რომ მმართველობის სისტემის კრიზისმა [131] და მოშლილმა ფრონტმა ოსმალეთს საშუალება მისცა, რამდენიმე მიმართულებით წამოეწყო შეტევა. [132] მოლაპარაკებების მიუხედავად, ოსმალეთი, 1918 წლის 3 მარტს ბოლშევიკებთან ხელმოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების მიხედვით,[133] მოითხოვდა ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქების გადაცემას. ვითარება იმდენად რთული იყო, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ერთადერთ გამოსავლად ამიერკავკასიის ფედერაციის ჩამოყალიბება მიიჩნია, რასაც, მოგვიანებით, დამოუკიდებელი რესპუბლიკების ჩამოყალიბება მოჰყვა. საზავო კონფერენციების მიუხედავად, ვითარება არ შეიცვალა და ოსმალეთმა გააგრძელა ექსპანსია და 1877 წლამდე არსებული საზღვარსიქითა ტერიტორიები დაიკავა. მათ შორის ბათუმიც, მცირე ხნით, ოსმალეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა. თავისი ლეგიტიმურობის დასადასტურებლად ოსმალური ადმინისტრაცია რეფერენდუმს აწყობს.[134]

1917 წელს, აზიზიეს სახელობის მეჩეთში,[135] ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისა და ერთიანობის შენარჩუნების იდეით, „ქართველ მუსლიმთა კომიტეტი" ყალიბდება,[136] რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ (შემდგომში კი, სხვადასხვა ჯგუფის წინააღმდეგ) ბრძოლას იწყებს. დაპატიმრებისა და დევნის საფრთხის გამო, კომიტეტი თბილისში გადადის, სადაც 1918 წლის 15 მაისს, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს" ქმნის.[137] კომიტეტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შემდგომში განვითარებულ პროცესებში.

ვითარება იცვლება პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, 1918 წელს, როცა ოსმალეთმა დატოვა დაკავებული ტერიტორიები, ხოლო მუდროსის ზავით, ბათუმს

---

[131] სიორიძე მ., ბათუმის ოლქი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, - სამხრეთ-დასავლეთ ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 393-406.

[132] სიორიძე მ., კავკასიის ფრონტის მოშლა და სამხედრო მოქმედებების განახლება, - სამხრეთ-დასავლეთ ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 406-16.

[133] ოლქის ქვეშევრდომობის საკითხი 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების IV მუხლის მიხედვით რეფერენდუმით უნდა გადაწყვეტილიყო.

[134] ზოსიძე ნ., ბათუმის ოლქის ოკუპაცია ოსმალთა მიერ (1918 წ.), - სამხრეთ-დასავლეთ ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 432-40.

[135] შემდგომში, ხალხმრავლობის გამო სხდომები ბათუმის თვითმმართველობის სხდომათა დარბაზში იმართებოდა.

[136] ამ ორგანიზაციამ 1917 წლის ბოლოს დააფუძნა „ბათუმის ოლქის მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოება" - მესხია ე., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1997, გვ. 8-10.

[137] 1919 წლის 15 მაისს, იქმნება გაზეთი "სამუსლიმანო საქართველო", რომელიც ორიენტირებული იყო ეროვნული, რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური (ანტიოსმალური) თემატიკის გაშუქებაზე; მხარს უჭერდა ერთიანი საქართველოს იდეას - მესხია ე., დასახ. ნაშრ., გვ. 18.

ბრიტანეთის ჯარები იკავებენ.[138] ბათუმის ოლქის მდგომარეობა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, კიდევ უფრო გართულდა. ბრიტანეთის ადმინისტრაცია, ერთი მხრივ, ბრიტანეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების რეალიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის იმპერიის აღდგენას უწყობდა ხელს. პარალელურად, ბათუმის ოლქის მიმართ ინტერესს ასევე გამოთქვამდნენ საფრანგეთი, აშშ, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ისევე როგორც სხვადასხვა ჯგუფი (სამხრეთ-დასავლეთ კავკასია, რუსული ნაციონალური მოძრაობა, თეთრი მოძრაობა და ა.შ.).[139] ამავე პერიოდში, აქტიურობას იწყებს პროოსმალური „ისლამის კომიტეტის" ბაზაზე შექმნილი პარტია „სედაი მილეთი" (ხალხის ხმა), რომელიც სარგებლობდა როგორც შიდა, ისე საგარეო მხარდაჭერით.[140]

ამ ფონზე, ბათუმის ოლქი, 1920 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაქვემდებარებაში გადავიდა. თუმცა, არსებული გამოწვევების გამო, დროებით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და დაიწყო დისკუსია სტატუსთან დაკავშირებით.[141] გასაბჭოებამდე, რეგიონი ერთდროულად ებრძოდა შიდა პრობლემებს (სხვადასხვა ჯგუფის მოქმედება, კრიზისი, პროდუქტების ნაკლებობა, ბანდიტიზმი და სხვ.) და გარე საფრთხეებს (თურქეთის და რუსეთის მხრიდან).[142]

რუსეთის იმპერიის შემდგომი პერიოდი, მათ შორის, პირველი რესპუბლიკის დროს, მდგომარეობა აჭარაში ურთულესი იყო. ეკონომიკურმა კრიზისმა, რესურსების ნაკლებობამ, ყაჩაღობამ, ბანდიტიზმმა, პერიოდულმა ინტერვენციებმა მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. პოლიტიკურ გაურკვევლობას სხვადასხვა ჯგუფის მოქმედებაც ემატებოდა, რაც რეგიონის მდგომარეობას და მის მომავალს გაურკვეველს ხდიდა.

საბჭოთა კავშირი.

1921 წლის თებერვალ-მარტში, აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, საბჭოთა რუსეთი საქართველოს გასაბჭოებას/ოკუპაციას ახდენს. ამ პერიოდში, ბათუმის ოლქის დაპყრობას თურქეთი ცდილობდა. თურქეთსა და რუსეთს შორის მოსკოვის ხელშეკრულების (1921 წლის 16 მარტი) თანახმად, ბათუმი და აჭარა

---

[138] სიორიძე მ., ბათუმის ოლქი დიდი ბრიტანეთის ოკუპაციის პერიოდში, - სამხრეთ-დასავლეთ ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 457-70; მესხია ე., დასახ. ნაშ., გვ. 40-48.

[139] სიორიძე მ., ბათუმი და რუსეთის სამოქალაქო ომი, - სამხრეთ-დასავლეთ ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 470-8; სიორიძე მ., ბათუმის საკითხის" ინტერნაციონალიზაცია 1919-1920 წ.წ., - სამხრეთ-დასავლეთ ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 478-89.

[140] მესხია ე., სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, - სამხრეთ-დასავლეთ ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ. 496-8; მესხია ე., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1997, გვ. 90.

[141] ერთი ჯგუფი მხარს უჭერდა საქართველოს შემადგენლობაში პირდაპირ შესვლას, ხოლო მეორე ავტონომიური სტატუსით შესვლას უჭერდა მხარს - სიორიძე მ., სოციალურ-პოლიტიკური ვითარება 1920 წლის მეორე ნახევარში, - სამხრეთ-დასავლეთ ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008, გვ.504-10.

[142] იქვე, გვ. 511-6.

ბოლშევიკური რუსეთის შემადგენლობაში უნდა შესულიყო; თუმცა, საიდუმლო შეთანხმებით, ის შეიძლება თურქეთის შემადგენლობაში აღმოჩენილიყო.[143] ამიტომ, უკვე ბათუმში შესული თურქული სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ მოქმედება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარს და მილიციას მოუწია გენერალ გ. მაზნიაშვილის მეთაურობით. ბათუმისათვის ბრძოლებში დაღუპულები აზიზიეს მოედანზე დაკრძალეს.[144] საქართველოს დაპყრობის შედეგად, ორივე სახელმწიფომ გაინაწილა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია, საიდანაც ბოლშევიკური რუსეთის შემადგენლობაში არ შევიდა რუსეთის იმპერიის პერიოდში შემავალი მთელ რიგი ტერიტორიები (ყარსი, არტაანი, ართვინი...). 1921 წლის ბოლოს, 13 ოქტომბერს, ერთი მხრივ, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და, მეორე მხრივ, თურქეთს შორის გაფორმდა ყარსის ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა აჭარის მოსახლეობის გარკვეულ კულტურულ უფლებებს და ავტონომიის პირობებსაც.[145] 1921 წლის 16 ივლისს, საქართველოს სსრ რევკომმა გამოსცა დეკრეტი №54 აჭარის ასსრ-ს მოწყობის შესახებ.[146] საომარი მოქმედებების დასრულებამ რეგიონი საგარეო საფრთხეებიდან იხსნა, თუმცა, შიდა დაძაბულობა შემდგომ წლებშიც გაგრძელდა.

მაგრამ, დავუბრუნდეთ აჭარაში რელიგიის საკითხს. ბოლშევიკური მმართველობის დამყარებამ რწმენისა და პრაქტიკების ცვლილება კიდევ ერთხელ განაპირობა - ოსმალეთის მმართველობამ აქ არსებული ქრისტიანული თემის გაქრობა და ისლამის გავრცელება განაპირობა; რუსეთის იმპერიის შემოსვლამ კი პირიქით, მუსლიმური თემის რიცხობრივი შემცირება, კონტროლი და ქრისტიანობის ხელშეწყობა მოიტანა; საბჭოთა ხელისუფლება ყველა რელიგიური შეხედულების, ინსტიტუტისა და პრაქტიკის შეკვეცა-აკრძალვას უწყობდა ხელს.

რელიგიის თემასთან დაკავშირებით, ბოლშევიკების მიერ მიღებული ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი იყო 1903 წელს, პარტიის II ყრილობაზე მიღებული რსდმპ-ს სამოქმედო პროგრამა, რომელიც პრიორიტეტს ათეიზმს ანიჭებდა, ხოლო რელიგიურ ჯგუფებს თანაბარ მდგომარეობაში აყენებდა და მათგან გამიჯნავდა განათლების, საფინანსო-ქონებრივ, სამართალწარმოების და სასამართლო ფუნქციებს.[147] ისლამის მიმართულებით რელიგიური პოლიტიკის ფორმირებაში საბჭოთა კავშირი დაეყრდნო რუსეთის იმპერიის პერიოდის გამოცდილებას.[148] ამიტომ, 1919 წლის პროგრამით,

---

[143] ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომის წლებში, თბილისი, 1994, გვ. 88.

[144] მაზნიაშვილი გ., მოგონებები (1917-1923), ბათუმი, 1990, გვ. 200-9; თოიძე ლ., ბრძოლა ბათუმისათვის 1921 წლის მარტი, თბილისი, 2009, გვ. 28-36.

[145] ოქროპირიძე შ., აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან, ბათუმი, 2001, გვ. 113-115.

[146] Революционные комитеты Аджарии в борьбе за становление и упрочнение советской власти (март 1921 г. – 1922 г.), сборник документов и материалов, Сухуми, 1963, გვ. 44.

[147] Из программы Российской социал-демократической партии, принятой на II съезде партии в 1903г. Документы КПСС о религии и церкви. О религии и церкви, - Сборник высказывании классиков марксизма-ленинизма, документов КПСС и советского государства. Москва, 1977, გვ. 51-52.

[148] დაწვრლ. იხ.: Емелианова Н., Мусульмане Кабарды, Москва, 1999.

„ეკლესია” გამოიყოფოდა სახელმწიფოსა და სკოლისგან; ბოლშევიკურ მთავრობას უნდა მოესპო რელიგიური გადმონაშთები საზოგადოებრივ და სამეურნეო დონეზე, უნდა გამოეცალა მისი არსებობის საფუძველი; მაგრამ ამ პროცესში არ უნდა მომხდარიყო მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა.[149] მეტიც, ბოლშევიკები, პირველ ეტაპზე, მუსლიმებთან ურთიერთობაში დათმობებზეც მიდიოდნენ, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ახალი სახელმწიფოსათვის ისლამი არ წარმოადგენდა საფრთხეს, ხოლო მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ბრძოლაში იგი, შეიძლება, მოკავშირედ გამოსულიყო. ამიტომ, ყურადღება ექცეოდა მუსლიმების აქტიური ნაწილის გადმობირებას, ბოლშევიზმისა და სოციალიზმის იდეების პროპაგანდას მუსლიმურ რეგიონებში და მათ გამოყენებას სხვა ჯგუფებთან ბრძოლაში.[150] ამ მიზნით, 1917 წელს, ეროვნებათა საკითხებში სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შეიქმნა მუსლიმების საქმეთა კომისარიატი. [151] აჭარაში, სადაც საქართველოს დაპყრობის მომენტისათვის სიტუაცია არაერთგვაროვანი იყო, ძალაუფლებისათვის ერთმანეთს სხვადასხვა ჯგუფი ეცილებოდა. [152] ამ პირობებში, მუსლიმთა საქმეების წარმართვა გარკვეულ სპეციფიკას უკავშირდებოდა.

1921 წლის შემდეგ, საქართველოში, ახალი მმართველობითი აპარატი შეიქმნა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აღმასრულებელი ფუნქცია დაეკისრა საკს (სახალხო კომისართა საბჭოებს). მათ შემადგენლობაში შედიოდა სხვადასხვა კომისარი, მათ შორის - ეროვნულ უმცირესობათა სახალხო კომისარი (შემდგომში – ეროვნულ უმცირესობათა სახალხო კომისარიატი). ამ კომისარიატის დაქვემდებარებაში შედიოდა ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მუშაობა. აჭარაში ის მოიცავდა სამ სექციას: ბერძენთა, სომეხთა და მუსლიმთა (მუსსექცია[153]) სექციებს. მუსსექციის ფუნქციაში მუსლიმებთან მუშაობა და პროპაგანდა შედიოდა. მის სამოქმედო სფეროში ასევე შედიოდა მეზობელი ქვეყნის მუსლიმებთან მუშაობაც - იგი კურირებდა ლაზისტანს, თურქ კომუნისტებს[154] და ქურთებს.[155] როგორც ჩანს, სექციამ მცირე პერიოდი იმუშავა (1921-22 წ.წ.). [156] იგი 1921 წლის 28 მარტს ჩამოყალიბდა [157] და განთავსებული იყო

---

[149] Из программы РКП (б), принятой на VII съезде партии (март, 1919г.), Документы КПСС о религии и церкви. О религии и церкви,-Сборник высказывании классиков марксизма-ленинизма, документов КПСС и советского государства, Москва, 1977, გვ. 52.

[150] Емельянова Н., Октябрьская революция и умма России, Газета "Все об Исламе", № 8, декабрь 2002.

[151] 1918 წლის 17 იანვარს, გამოიცა სკს–ის № 144 დეკრეტი "Об учреждении Комиссариата по делам мусульман", თუმცა იმავე გეგმით უნდა მომხდარიყო მუსლიმებში კლასობრივი ბრძოლის ხელშეწყობა, აქტიური ნაწილის განადგურება და თემის შესუსტება ან სრული მოსპობა - Емельянова Н., Мусульмане Осетии: На перекрестке цивилизаций, - საიტ http://lit.lib.ru/-ს მიხედვით.

[152] თურმანიძე ო., საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოება და პოლიტიკური ვითარება აჭარაში 1921 წელს, - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, ბათუმი, 2012, გვ. 43.

[153] არქივში დაცული დოკუმენტები, ძირითადად, ასახავს ბათუმში საქართველოს კპ-ისთან არსებული, ბათუმის საოლქო კომიტეტთან (ბათობკომი) მოქმედი ეროვნული უმცირესობების სექციის მუსსექციის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ცნობებს - აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 1-95.

[154] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 1-3.

[155] ქურთებმა სექციას 1922 წლის მაისში მიმართეს, კომუნისტის გამოგზავნის თაობაზე (აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 35-36, 63, 66, 89), რაც სექციამ დააკმაყოფილა. ასევე, ამავე წელს, სექციამ ორჯერ მოაწყო სპეციალური ჩვენება ქურთებისათვის, სადაც წაკითხული იყო მოხსენებები.

[156] აცსა, ფ. პ-1, ან.1, საქ. 231. ფურც. 53, 58, 73-74.

დონდუკოვო-კორსაკოვის ქუჩის №16-ში (ახლანდელი კ. გამსახურდიას ქუჩა).[158] სექციის ფუნქციონირება საჭიროება იყო, რადგან ქალაქის მოსახლეობის 50% მუსლიმი იყო. თუმცა, სამოქმედო არეალი მთელ ოლქზე ვრცელდებოდა.[159] განხორციელებული საქმიანობა, ძირითადად, ატარებდა როგორც სააგიტაციო-პროპაგანდისტულ და ინფორმაციულ,[160] ასევე, ორგანიზაციულ (სამკითხველო სახლების გახსნა,[161] პარტიაში მიღება [162]), საგანმანათლებლო (სკოლის მშენებლობა, მასწავლებელთა ხელფასი, საგანმანათლებლო პოლიტიკა, და ა.შ.),[163] მათ შორის, მასწავლებელი სასულიერო პირების საკითხსაც.[164] იგი გამოსცემდა თურქულენოვან გაზეთს "იშტირაქ",[165] რომლის ოპონენტი გაზეთი "იენი დუნია" იყო.[166] საბოლოოდ, სექციის რევიზიის შედეგად, გამოვლინდა, რომ მისი წევრების დიდი ნაწილი არასაიმედო იყო,[167] ამიტომ ის დაიხურა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები ურთულესი იყო.[168] სიტუაციას ართულებდა განმათავისუფლებელი კომიტეტის[169], სედაი მილეთის, ქემალისტური,[170] მენშევიკური და კერძო ინტერესების მქონე ჯგუფების (მათ შორის, სასულიერო პირების) ურთიერთჭიდილი;[171] დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი საკუთრივ პარტმუშაკებშიც, რომლებიც ზემდგომ ორგანოებში ხშირად აგზავნიდნენ ურთიერთგამომრიცხავ ან ურთიერთმბრალდებელ ცნობებს. ამიტომ, პარტმუშაკები, პირველ წლებში, სიფრთხილით ეკიდებოდნენ ადგილობრივთა რელიგიის, ჩვევების, ტრადიციებისა და ენის საკითხებს[172] და იმ სამუშაოთა ნუსხაში, რომელსაც ბიუჯეტიდან აფინანსებდნენ,

---

[157] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 38, ფურც. 1-2.

[158] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 73.

[159] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 11.

[160] საინტერესოა, რომ ამ შეხვედრებზე განიხილეს 155 საკითხი, რომლის გადასაჭრელადაც მიმართეს ზემდგომ ორგანოებს, თუმცა, როგორც სექციის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, აქედან მცირე ნაწილი თუ დაკმაყოფილდა, - აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 72;

[161] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 73-74.

[162] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 27.

[163] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 30; აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 19; აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 12; აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 8.

[164] მუსსექცია გამოდიოდა წინადადებით, რომ განესაზღვრათ ჯამაგირი მუსლიმი სასულიერო პირებისათვის, რომლებიც პარალელურად საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდნენ - აცსა ფ. პ-1, ა.1 ს.101 გვ. 4.

[165] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 38, ფურც. 1, აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 54-55;

[166] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 70-71.

[167] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77, ფურც. 54-55.

[168] 1921 წლის ნოემბერში საქართველოს რევოლუციურ კომიტეტში გაგზავნილ ცნობაში აჭარაში პარტმუშაკების მუშაობა გმირობად ფასდებოდა - აცსა, ფ. პ-1, ან. 1 საქმე 10. ფურც. 1.

[169] კომიტეტის შემადგენლობა, ფაქტობრივად, არ იცვლებოდა და მის ინტერესებში აჭარის საქართველოს შემადგენლობაში შენარჩუნება იყო.

[170] პროთურქული ძალები აქტიურ აგიტაციას, გამოსვლებს და პროვოკაციებს აწყობდნენ, მათ შორის, სასულიერო პირების, ბათუმში თურქეთის კონსულის დახმარებით - აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 77.

[171] აცსა, ფ.პ-1, ან. 1 საქმე 10. ფურც. 4; ჩეკას ხელმძღვანელის ცნობით, 1921 წლიდან, გააქტიურდნენ პროთურქული ძალები („სედაი მილეთი", ქემალისტები), რომლებიც მანამდე მეჯლისში შედიოდნენ, ხოლო შემდეგ, შექმნეს შეიარაღებული ძალები - აცსა, ფ რ-2, ა. 17, ს. 7 ფ. 20.

[172] აცსა, ფ.პ-1, ან. 1 საქმე 10. ფურც. 2; ამ პერიოდში, ადგილობრივი ორგანოების მოქმედების ჩარჩოები რელიგიის, პროპაგანდისა და განათლების საკითხებში მკაფიოდ რეგლამენტირებული იყო - «О политической пропаганде и культурно-просветительной работе в деревне» (Из резолюции VII съезда РКП (б) март, 1919 г.). ამ საქმიანობის აქტივიზაციისა და კონტროლისათვის შეიქმნა მთავარი პოლიტიკურ-საგანმანათლებლო კომიტეტი «О Главполитпровсете и агитационно-пропагандистских задачах партии» (из резолюции X съезда РКП (б) март, 1921г. -

მეჩეთების რემონტიც შედიოდა.[173] ბოლშევიკებისათვის რელიგიური ფაქტორი არაერთგვაროვანი იყო - საჭიროების შემთხვევაში, პარტიაში მიღების დროსაც კი, რელიგიურობა არ ითვლებოდა პრობლემად.[174]

შემდგომ წლებში, პარტმუშაკებისა და აქტივისტების დამოკიდებულებაც და მეთოდებიც თანდათანობით იცვლებოდა. 1929 წლისათვის, მათი თვითნებობა ყველა სფეროში ფიქსირდებოდა. რელიგიის კუთხით ეს სხვადასხვა სახის შეზღუდვებში გამოიხატებოდა. მაგალითად, ხიხაძირში მიცვალებული დაუმარხავი იყო 3 დღე, რადგან ხოჯას აუკრძალეს წესის აგება,[175] დიოკნისში სასულიერო პირს ჩამოართვეს ხელწერილი იმის თაობაზე, რომ ის არ შეასრულებდა წესებს, რის გამოც, სოფელში, მიცვალებული რამდენიმე დღე ვერ დაკრძალეს;[176] ღორჯომის თემში, პარტმუშაკის მითითებით, მარხვის (რამაზანის) დროს, ჯამეს ეზოში კომკავშირელებს უნდა გაემართათ ქეიფი, რათა ეჩვენებინათ რელიგიური წესებისადმი უპატივცემულობა და ახალი ხელისუფლების ძალა; იქვე, მუეძინს, აზანის შესრულების გამო, მილიციამ ალყა შემოარტყა მეჩეთს და მისი შეწყვეტა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, დახვრეტით დაემუქრნენ.[177]

ანტირელიგიური პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ქალთა საკითხი, რომელშიც არაერთი გადაცდომა დაფიქსირდა. ამ საკითხს 20-იან წლებში შექმნილი ქალთა კომიტეტები კურირებდნენ. მათ ევალებოდათ საოჯახო-ყოფით, საქორწინო-სამართლებრივ,[178] სოციალურ და სხვა მიმართულებებით ქალთა მხარდაჭერა და გააქტიურება.[179] 1924 წლიდან, ქალთა განყოფილებაში „ქალ მუსულმანთა სექცია" იქმნება, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ქალთა პროფესიული და ჭრა-კერვის სკოლები წარმოადგენდა. თუმცა, ქალთა მდგომარეობისა და მამაკაცთა პროტესტის გამო, ეს კურსები და პროპაგანდისტული საუბრები უშედეგო იყო.[180] ამ მხრივ, დიდი ყურადღება დაეთმო მმაჩის ბიუროს გახსნას, რითაც შესაძლებელი იქნებოდა სასულიერო პირებისგან ჩამოეცილებინათ ისეთი სფეროები, როგორიც იყო დაბადების, ქორწინების და ანდერძის პროცედურები. ბიუროების გახსნა რეგიონის

Документы КПСС о религии и церкви. О религии и церкви // Сборник высказывании классиков марксизма-ленинизма, документов КПСС и советского государства. Москва, 1977. გვ. 53.

[173] აცსა, ფ.პ-1, ან. 1 საქმე 10. ფურც. 4/2.

[174] მაგ., ხულოს მაზრაში პარტიაში გაწევრიანების სხდომის ოქმის მიხედვით რამდენიმე პირი მუსლიმობის მიუხედავად მიიღეს, მაშინ როცა სხვებს, რელიგიურობის გამო, უარი უთხრეს - აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 241, ფურც. 3, 5.

[175] სპა, ფ. 14, ან. 4, ს. 301. ფურც. 154.

[176] სპა, ფ. 14, ან. 4, ს. 301. ფურც. 150.

[177] სპა, ფ. 14, ან. 4, ს. 301. ფურც. 157.

[178] მაგ., 1925 წლის საანგარიშო წერილში, ქალთა კომიტეტი შედის შუამდგომლობით იურიდიულ განყოფილებაში განქორწინების საკითხებში ქალისა და ბავშვების უფლებების დასაცავად, ალიმენტების გაცემის გამარტივებული სქემის შემუშავებაზე, რაც გამორიცხავდა პერიოდული საკასაციო მოთხოვნებით ალიმენტების გაცემის პერიოდულ შეწყვეტას (რაც ხშირად ხდებოდა) - აცსა, ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 465, ფურც. 10.

[179] იგეგმებოდა სპეციალური სხდომები, საგანგებო რეაგირება ქალთა განცხადებებზე, სხვადასხვა ორგანოსთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება, ქალთა ნადების მოწყობა და ა.შ. - აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 590, ფურც 8.

[180] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 358, ფურც 18.

მასშტაბით საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე დაიწყო,[181] თუმცა, ეს პროცესი დიდი სირთულეებით მიმდინარეობდა (ქალთა დასწრების პრობლემის გამო).[182] მმაჩის ბიუროს გახსნას უნდა დაერეგულირებინა და აღმოეფხვრა ადრეული ქორწინების პრობლემაც, რადგან საბჭოთა კანონმდებლობა მინიმალურ საქორწინო ასაკად 18 წელს მიიჩნევდა. ამ ცვლილებებს თანდათანობით უნდა შეეცვალა არსებული პრაქტიკები.

ქალებთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვან, ანტირელიგიურ და კულტურულ ღონისძიებად ე.წ. „ჩადრის ახდის" კამპანია მიიჩნეოდა. ის 1928-30 წლებში განახორციელეს.[183] 1929 წლის იანვარში, პარტიის ცენტრალურ ორგანოებში გაიგზავნა აჭარის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელის - ა. ფანცხავას სასიხარულო დეპეშა. მასში აღნიშნული იყო, რომ აჭარაში გადაჭრილია ყველა პრობლემა - დაიხურა 147 მედრესე, ჯამეები იხურება, ხოჯები უარს ამბობენ რელიგიაზე, ჩადრის ახდის კამპანია წარმატებულია, წინააღმდეგობა არაა, ყველა კმაყოფილია და ეს ყველაფერი ჩხუბის, სროლის, მკვლელობისა და ცემის გარეშე იქნა მიღწეული.[184] ეს „სასიხარულო" ცნობა არ მოიცავდა რეალურ მონაცემებს; კერძოდ კი, კამპანია, ფაქტობრივად, 300 ჩადრახდილ ქალს გულისხმობდა. თვით ჩადრის ახდის პროცესი არც ისე მარტივად მიმდინარეობდა [185] და მთელი კამპანიის „წარმატებას" ადმინისტრაციული ჩარევა განაპირობებდა, რასაც მრავალი უთანხმოება მოჰყვა.[186] უფრო მეტიც, ადგილი ჰქონდა ძალადობას და მუქარას.[187]

არანაკლები ყურადღება ექცეოდა ანტირელიგიური, ათეისტური, საბჭოთა-მეცნიერული იდეების გავრცელებას. ისინი მიმართული იყო რელიგიური (ტრადიციული) შეხედულებების უსაფუძვლობის დადასტურებისკენ და მოსახლეობაში ახალი შეხედულებებისა და წეს–ჩვეულებების დანერგვისკენ. ამ მიზნით, 1925 წელს, მოქმედება დაიწყო „უღმრთოთა კავშირმა", ვრცელდებოდა გაზეთი «Безбожник» და ქართულენოვანი ჟურნალი „მებრძოლი ათეისტი".[188]

პარალელურად, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, დაიწყო ახალი, საბჭოთა დღესასწაულებისა და ღონისძიებების დანერგვა. ეწყობოდა სხვადასხვა ფორმატისა და

---

[181] აცსა ფ.პ-1, ა.1, ს.119. ფურც. 119; აცსა ფ.პ-1, ა.1, ს.1038. ფურც. 15; პირველი მმაჩის ბიურო გაიხსნა ხუცუბანში - სანიკიძე გ., ისლამი და მუსლიმები თანამედროვე საქართველოში, თბილისი, 1999, გვ. 17.

[182] მაგ., 1929 წელს, სხალთაში მმაჩის ბიურო ქორწინების რეგისტრაციას ვერ ახერხებდა, რადგან ის თემის ცენტრში იყო და მოსახლეობა იქ მისვლას ვერ ახერხებდა, განსაკუთრებით ქალები, რომელთა მაგივრად ხელს საბჭოს წევრები აწერდნენ - აცსა, ფ 14, ა. 4, ს. 301. ფურც. 153.

[183] სპა ფ. 14, ან. 4, ს. 301 ფურც. 160-178.

[184] სპა ფ. 14, ან. 4, ს. 250 ფურც. 108.

[185] 1929 წელს, სპეციალურად გამართულ სხდომაზე გაირკვა, რომ ხიხაძირში კომკავშირლებსა და კომუნისტებსაც არ აუხდიათ ჩადრი თავისი ოჯახის წევრებისათვის; იმავე წელს, ფურტიოში, ისევე როგორც ხულოს რაიონის ყველა თემში, ამ საკითხზე წარმოებული ყოველგვარი პროტესტი იწვევდა ტერორს, რასაც ხსნიდნენ როგორც ინდივიდუალურ გადაცდომას - სპა ფ. 14, ა. 4, ს. 301. ფურც. 153

[186] სპა ფ. 14, ან. 4, ს. 475 ფურც. 1-3.

[187] სპა ფ. 14, ან. 4, ს. 301 ფურც. 150.

[188] დაწვრ. იხ. ზოსიძე რ., ისლამი, მორწმუნე, თანამედროვეობა, ბათუმი, 1978.

მიმართულების სხდომები, აგიტაცია–პროპაგანდისტული საღამოები, შეხვედრები სხვადასხვა საკითხზე, „წითელი აღდგომა", „წითელი ბაირამი" და სხვა. საბჭოურ ღონისძიებათა სპეციალურ ნუსხას მიეკუთვნებოდა რელიგიური ხასიათის ღონისძიებების „საბჭოური აღნიშვნა". მაგალითად, ბაირამის აღნიშვნისას, აგიტპროპის ცნობით, ეს დღესასწაული პოლიტიკურად აქციეს, როცა ადგილობრივმა მუსლიმებმა ინგლისის ქმედებების წინააღმდეგ საბჭოური პროტესტი გამოთქვეს;[189] 1925 წელს, გაიმართა ანტირელიგიური საშობაო კამპანია და კამპანია წითელ ნახევარმთვარეზე.[190]

ახალი, საბჭოური ტრადიციების შექმნისა და დამკვიდრებისათვის ბრძოლა, პირველ ეტაპზე, რელიგიურ დღესასწაულებსა და წესებში დათმობებს გულისხმობდა. თუმცა, ამის პარალელურად, შემუშავებული იყო ათეისტური და ანტირელიგიური ტრადიციების მთელი კომპლექსი – ნაძვის ხის ტრადიციის შობიდან ახალწელზე გადატანა, რელიგიური დღესასწაულების დროს ანტირელიგიური "ოქტომბრინების" მოწყობა, კომკავშირული შობა, კომკავშირული ნათლობა, წითელი დაკრძალვა, საბჭოური ქორწინება (წითელი, კომკავშირული და სხვა) და ა.შ.

ბოლშევიკური ადმინისტრაცია სხვადასხვა ტრადიციის ცვლილებასაც გეგმავდა. 1924 წლის დღესასწაულთა პროტოკოლების საქმე აჭარაში პირველი წითელი ქორწილის ჩატარების გეგმას ეხება. ეს ქორწილი უნდა ჩატარებულიყო 1924 წლის 18 აგვისტოს.[191] ამგვარი რეგულირებებისა და აკრძალვების გამო, იმისათვის, რომ არ მომხდარიყო მექორწილეთა დისკრედიტაცია, მუსლიმური ქორწინების წესი არაოფიციალურად სრულდებოდა მექორწილეთა დასწრების გარეშეც.[192] იგივე ეხებოდა დაკრძალვის წესსაც. დაკრძალვის ახალი წესები მოიცავდა გასვენებას მუსიკითა და წითელი დროშებით. ამ დროს, სასულე ორკესტრის თანხლებით, სრულდებოდა რევოლუციური სიმღერები, ხოლო დაკრძალვისას წარმოითქმებოდა რევოლუციური პათოსით გამსჭვალული სიტყვა.[193] ამ ცვლილებებს ასევე მოჰყვა დაკრძალვის ახალი იდეურ-თვისობრივი გაფორმება, სამოქალაქო პანაშვიდები, გამოცხადება გაზეთისა და, შემდგომ, ტელევიზიის მეშვეობით, საპატიო პირებისათვის საზოგადოებრივი პანაშვიდების და დაკრძალვის მოწყობა, ქელეხის და საფლავის მოწყობის წესების შემუშავება.[194] ამ წესების ნაწილი, იმ მიზეზით რომ ხალხმრავალი, ხმაურიანი და მიტინგის ხასიათისა იყო, უარყვეს. 1940-50-იან წლებიდან, ძირითადი ყურადღება უკვე

---

[189] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 145, ფურც. 35.

[190] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 578, ფურც. 5.

[191] გეგმა დეტალური იყო და მოიცავდა ახალი ქორწილის ჩატარების ყველა ეტაპს, იდეოლოგიურ დატვრითვას, ახალ პრაქტიკებსა და შინაარსებს - აცსა, ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 353, ფურც 45.

[192] ბარამიძე რ., ქორწინება და საქორწინო ტრადიციები აჭარელ მუსლიმებში, - ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი, 2010, გვ. 101-103.

[193] გუგუტიშვილი მ., ახალი საბჭოთა ტრადიციები საქართველოში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად,-საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 1972, გვ. 52-53.

[194] იქვე, გვ. 185-197.

ანტირელიგიური პროპაგანდის გააქტიურებაზე გადაიტანეს.[195]

შეიძლება ითქვას, რომ მორწმუნეთა ტრადიციებისა და რელიგიური კალენდრის ცვლილების მცდელობა, საერთო ჯამში, წარუმატებელი იყო, იმ თვალსაზრისით, რომ ის სახეცვლილი ფორმით, შინაარსით, ან ნაწილობრივ ფარულად აგრძელებდა არსებობას. ამას აღიარებდნენ პარტიის მუშაკებიც[196] და იმ პერიოდის მკვლევრებიც.[197]

ერთ-ერთი საყურადღებო ცვლილება განათლების სფეროს ეხებოდა.[198] მაგალითად, სახალხო განათლების განყოფილების ეგიდით, ხულოს მაზრაში მომუშავე 25 სკოლაში, ერთ-ერთი მასწავლებელი სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო;[199] მაგრამ, ამ ფაქტს სხვადასხვა ჯგუფი თუ პირი საკუთარი მიზნებისათვის იყენებდა და ასმენდნენ მათ საერო განათლების ბოიკოტის ან ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების გამო.[200] მეორე მხრივ, სოფლებში ადგილი ჰქონდა გამოსვლებს საერო განათლების წინააღმდეგ (განსაკუთრებით ქალი მასწავლებლების წინააღმდეგ).[201] ამავდროულად, პირველ წლებში, სასულიერო განათლების მიღების შესაძლებლობა აჭარაში მეჩეთებთან გახსნილ მედრესეებში იყო შესაძლებელი.[202]

1926 წელს, სასწავლო პროგრამიდან ამოიღეს საღვთო რჯული, ხოლო 1929 წელს საგანგებო დეკრეტით შემოღებული იქნა საყოველთაო სავალდებულო სწავლება და აიკრძალა რელიგიური სასწავლებლების ფუნქციონირება, რასაც 1930 წლისათვის ყველა

---

[195] გუგუტიშვილი მ., ახალი საბჭოთა ტრადიციები საქართველოში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად,-საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 1972; ჩხარტიშვილი ი., ანტირელიგიური ბრძოლა საქართველოში, თბილისი, 1982.

[196] 1954 წლის 7 ივლისის დადგენილება «О крупных недостатках в научно-атеистической пропаганде и мерах её улучшения» (постановление ЦК КПСС) - Государственные акты по вопросам религии и церкви. О религии и церкви,- Сборник высказывании классиков марксизма-ленинизма, документов КПСС и советского государства, Москва, 1977, გვ. 67-72.

[197] ტრადიციების როლისა და ადგილის ზრდაზე - ანდრიაშვილი რ., ისლამის გადმონაშთები საქართველოში, თბილისი, 1983, გვ. 3; მუსლიმებში ზოგიერთი პრაქტიკის შენარჩუენბაზე - ზოსიძე რ., ისლამი, მორწმუნე, თანამედროვეობა, ბათუმი, 1978.

[198] 1918 წლის 23 იანვრის მიიღეს დეკრეტი «Об отделении церкви от государства и школы от церкви» - декрет совета народных Комисаров. იქვე, 96-98 გვ.

[199] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 388, ფურც 2-3.

[200] ასეთია, მაგალითად, გაზეთის 1927 წლის №260. "ჩოლოქისპირელის" ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატია სოფ. ფიჭვნარის სკოლაში მოლა იუსუფ რეშიტის ძე ვერულიძის შევარდნის თაობაზე. ეს საკითხი შესწავლილი იყო ადგილობრივი მილიციის მიერ და დადგინდა, რომ, ამ ცრუ ჩვენებით სურდათ ამ ადამიანის ბრალეულობა, მაშინ, როცა ის მუდმივად მოუწოდებდა ბავშვებს სკოლაში სიარულისაკენ. მეორე სტატია,1927 წლის №271-ში გამოქვეყნდა, სოფკორ "ხმალის" მიერ; მასში საუბარია ღორჯომის თემის ადაძეების სკოლის შესახებ. ეს სტატია ასევე შესწავლილი იყო ადგილობრივი ინსპექტორის მიერ და ასევე გაირკვა, რომ მითითებული მასალები არ შეესაბამებოდა სიმართლეს (აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 733, ფურც. 19-23).

[201] ეს ეხებოდა ჭვანისა და ღორჯომის თემის წინააღმდეგობას, დიდაჭარაში მასწავლებლად ქალის დანიშვნის გამო, ღორჯომში - მუსლიმისათვის ხელფასის გადაუხდელობის გამო. ღორჯომისა და ჭვანის თემში არსებული პრობლემების მიზეზად მიჩნეულია გზის არქონა (აცსა, ფონდი პ-1, ან. 1. საქ. 232, ფურც. 13, 16); ამაზე მიუთითებს საიდუმლო ცნობა პარტიის ობკომის წინაშე ყარადერეს თემში დღვანის სკოლის თაობაზე (აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 626, ფურც. 2).

[202] 1929 წელს, აჭარაში მოქმედებდა 5 მედრესე და 150 მექთებე - ანდრიაშვილი რ., ისლამის დოგმატიკა და სოციალური მოძღვრება, თბილისი, 1984, გვ. 54.

სასულიერო სასწავლებლის დახურვა მოჰყვა.[203] თუმცა, ეს პროცესი ახალგაზრდების პროტესტის ფონზე მიმდინარეობდა.[204]

იგივე შეიძლება ითქვას სამართალწარმოებაზეც. პირველ წლებში, ხელისუფლება შარიათის სასამართლოებს არსებობის ნებას რთავდა და მათ ბიუჯეტიდანაც აფინანსებდა.[205] მაგრამ, 1924 წლის ბოლოსათვის, ისინი გაუქმდა.[206] 1926 წელს ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო, ადგილობრივი სამუფთოც გაუქმდა.[207]

რა თქმა უნდა, ანტირელიგიური კამპანია შეეხო მეჩეთებსაც. თუ, 1929 წელს, აჭარაში, 158 მოქმედი მეჩეთი იყო,[208] რომელთა ნაწილის მშენებლობაც საბჭოთა პერიოდში დასრულდა;[209] ერთადერთი მეჩეთი. რომელმაც ფუნქციონირება გააგრძელა - ბათუმის ორთაჯამე იყო (თუმცა მცირე ხნით ისიც კი დაიკეტა).[210]

მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა რელიგიური დაწესებულებების გახსნის და ლეგალური მოქმედების საჭიროება შეიქმნა, მიღებული იყო შესაბამისი დადგენილებები,[211] რომელთა საფუძველზეც, მინისტრთა საბჭოებთან იხსნება რელიგიურ საქმეთა საბჭოები, რომლებიც აკონტროლებდნენ რელიგიურ საქმიანობას.[212]

ანტირელიგიურმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად შეარყია სასულიერო პირების და რელიგიური ინსტიტუტების მდგომარეობა, მაგრამ ამან მოსახლეობის გაღიზიანება და საერთო ჯამში, მათი გამოსვლები განაპირობა. მართალია, ამგვარი გადაცდენების, „შეცდომების" ან „გადახვევების" გამოსწორება ბოლშევიკებს აუცილებელ ამოცანად

---

[203] ანდრიაშვილი რ., მუსულმანური სამღვდელოების შემგუებლური ტენდენციები საქართველოში, -რელიგიური გადმონაშთების დაძლევის პროცესი საქართველოში, თბილისი, 1973, გვ. 87.

[204] ჩიტაია გ. შრომები, ტ. III. თბილისი, 2001. გვ. 356.

[205] აცსა ფონდი პ-1, ან. 1, საქ. 232, ფურც. 16.

[206] ანდრიაშვილი რ., მუსულმანური სამღვდელოების შემგუებლური ტენდენციები საქართველოში, -რელიგიური გადმონაშთების დაძლევის პროცესი საქართველოში, თბილისი, 1973, გვ. 87.

[207] რამდენიმე წელი სამუფთომ არალეგალურად გააგრძელა ფუნქციონირება - ანდრიაშვილი რ., მუსულმანური სამღვდელოების შემგუებლური ტენდენციები საქართველოში, - რელიგიური გადმონაშთების დაძლევის პროცესი საქართველოში, თბილისი, 1973, გვ. 87.

[208] ანდრიაშვილი რ., ისლამის დოგმატიკა და სოციალური მოძღვრება, თბილისი, 1984, გვ. 44.

[209] Барамидзе Р., Мечети Аджарии (проблемы периодизации и классификации), - Лавровский Сборник: материалы XXXVI и XXXVII Среднеазиатско-Кавказских чтений 2012-2013, этнология, история, археология, культурология, СПБ, МАЭ РАН, 2013 გვ. 404.

[210] ბათუმის მეჩეთი ფუნქციონირებდა 1935 წლამდე; ამის შემდეგ, ის იკეტება და სამხედრო საწყობად გამოიყენება; მისი ფუნქციონირება ისევ აღდგა 1946 წელს - დაწვრ. იხ., ბარამიძე რ., რუმიანცევი რ., ბათუმის მეჩეთები (წარსული და თანამედროვეობა), - ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა, I, ბათუმი, 2009, გვ. 201–207;

[211] 1943 წლის 28 ნოემბერს, გამოვიდა სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილება (#1325) "О порядке открытия церквей"; 1944 წლის 19 მაისს, სახალხო კომისართა საბჭოსთან შეიქმნა "Совет по делам религиозных культов (СДРК)" (დადგენილება #572). მათ ევალებოდათ საბჭოთა ხელისუფლებასა და რელიგიური გაერთიანებების სასულიერო ცენტრებთან კავშირის დამყარება; იმავე წლის 19 ივლისს, სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება #1603 "О порядке открытия молитвенных зданий религиозных культов", რომელიც ოცეულის საფუძველზე, საკულტო ნაგებობების გახსნის უფლებას ეხებოდა - Емелианова Н., Мусульмане Кабарды, Москва, 1999, გვ. 78, 86.

[212] ამისათვის შედგენილი იყო კრებული შესაბამისი ინსტრუქციებითა და რეგულაციებით - "საბჭოთა საკანონმდებლო სახელმძღვანელო დოკუმენტებისა რელიგიური კულტების დარგში", გრიფით „სამსახურებირივი სარგებლობისათვის".

მიაჩნდათ[213], მაგრამ, ასეთი მუშაობით, ისინი უფრო მეტ პროტესტს აჩენდნენ. ამიტომ, საშინაო და საგარეო ფაქტორების გავლენით, შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებასთან ერთად, 1922-1925 წლებში, აჭარაში, ადგილი ჰქონდა მღელვარებას,[214] ხოლო 1929 წელს - აჯანყებას. ეს პროცესები, გარკვეულწილად, საქართველოში იმ პერიოდში მიმდინარე პროცესებსაც ეხმაურებოდა[215].

აჭარაში აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მოტივი რელიგიურ-კულტურული ხასიათისა იყო, რაც ანტირელიგიურ და სხვა კამპანიების დროს გამოყენებული ძალადობრივი მეთოდებით, შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებით, მკაცრი ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებით და ადგილობრივი პირობების უგულებელყოფით იყო გამოწვეული. 1924 წლის აჯანყებას აჭარაში, ადგილობრივი ხელმძღვანელობის აქტიურობის გამო, დიდი გასაქანი არ მიეცა.[216] პროტესტის გამო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა მითითებები და რეკომენდაციები, რათა გამოერიცხათ ან შეემცირებინათ გადაცდენები, ძალადობა, ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა; ხელისუფლება აქცენტის გადატანას კონკრეტულ თემებზე მოითხოვდა - ინფრასტრქუტურის გაუმჯობესება, ათეისტური პროპაგანდის გაძლიერება, ქალების და ვაჟების ცალკ-ცალკე სწავლება, კადრების უკეთესად შერჩევა და ა.შ.[217]

აჯანყების შემდეგ, რელიგიური პოლიტიკა შეიცვალა. საგანგებო კომიტეტმა შეისწავლა ადგილობრივი მუსლიმების მდგომარეობა,[218] რომლის ფარგლებშიც მოაგროვა დეტალური ინფორმაცია სასულიერო პირების, საკულტო ნაგებობების, სასწავლებლების და საერთოდ რელიგიური ვითარების შესახებ. ამის საფუძვლეზე, დაიწყო მუშაობა სასულიერო პირების გადაბირებაზე, დაყოლიებაზე, ეკონომიკურ დასუსტებასა[219] და აქტიურ აგიტაციაზე. შეგროვებული მონაცემების და დასმენების საფუძველზე, 1930-იან წლებში განხორციელებული რეპრესიების შედეგად, „საეჭვო" პირები და მათი ოჯახის წევრები რეპრესიებს შეეწირნენ.[220] მეორე მსოფლიო ომის

---

[213] ამ მიზეზით, სპეციალური დადგენილებაც კი იყო მიღებული - По вопросу о нарушения пункта 13 программы и о постановке антирелигиозной пропаганды, постановление пленума ЦК РКП (б) март, 1921г. - Директивы советским и партийным органам ЦК РКП (б) по вопросу об отношений к сектам и политики в отношении религиозных групп вообще, 1922г. გვ. 54-56, 57-59.

[214] მანველიძე ი., პოლიტიკური მღელვარება აჭარაში 1922-1925 წლებში, - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, IV, ბათუმი, 2002, გვ. 196-198.

[215] გოგოლიშვილი ო., ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1922 წლებში, ჟურნალი ,,ლიტერატურული აჭარა'', 1999, # 4, გვ. 131-140; მისივე, აჭარა ბობოქარ 1922-1924 წლებში, ჟურნალი ,,ლიტერატურული აჭარა'', 1999, #7, გვ. 82-88; მისივე, ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1927-1929 წლებში, ჟურნალი ,,ლიტერატურული აჭარა'', 2000, #11, გვ. 116-123 და სხვ.

[216] აცსა, ფ.№3-1, ან. 1 საქმე 225. ფურც. 24-26. დეტალურად აჭარაში განორციელებული ღონისძიებების შესახებ იხ.: აცსა, ფ. 3-1, ან. 1 საქმე 232. ფურც. 1.

[217] სპა, ფ. 4, ან. 4, ს. 285 ფ. 1-2.

[218] Доклад о положении и деятельности мусульманского духовенства в Аджаристане – ფ. 3-1, ან. 3, ს. 54.

[219] მაგ., ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტი აღწერს, 1927 წელს, რამდენიმე სასულიერო პირისათვის სხვადასხვა მიზეზით ქონების ჩამორთმევის დეტალებს - ფ. 3-1, ა.1, წ.717. ფურც. 1-2.

[220] თურმანიძე ო., მასობრივი რეპრესიები XX საუკუნის 30-იან წლებში, - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, ბათუმი, 2012, გვ. 178-190.

შემდეგ, ჯაშუშობის, არასანდოობის, უცხოეთთან კავშირის გამო, [221] აჭარიდან არაერთხელ გაასახლეს სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა. მხოლოდ მათი ნაწილი დაბრუნდა უკან.[222]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით ნატოს სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბების შემდეგ, აჭარა მთლიანად სასაზღვრო ზონად გადაიქცა და შესაბამისი სამსახურები აკონტროლებდნენ ნებისმიერი სახის აქტიურობას თუ გადაადგილებას. გზებზე მოწყობილი იყო ბლოკ-პოსტები. ამ მიზეზით, ბათუმში, დღესასწაულების წინა დღეებში, ლოცვის მსურველებს ართმევდნენ პასპორტებს, რის გამოც ისინი ქალაქში ჩასვლას ვერ ახერხებდნენ, რადგან ბლოკ-პოსტების გავლა საბუთების გარეშე შეუძლებელი იყო. მსგავს პრაქტიკას იყენებდნენ მარხვის პერიოდშიც, როცა ყველა მცხოვრებს აიძულებდნენ მონაწილეობა მიეღო ერთობლივ სამუშაოებში და ერთობლივად მიეღოთ საკვები. [223] ძალისმიერი და რეპრესიული მეთოდების მონაცვლეობამ, სოციალურ და კულტურულ ტრანსფორმაციასთან ერთად, რეგიონის მოსახლეობის ყოველდღიურობა და პრაქტიკები მნიშვნელოვნად შეცვალა. კონტრილი კიდევ უფრო გამკაცრდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა რეგიონი, ფაქტობრივად, ჩაკეტილ ზონად იქცა.

საბჭოთა მმართველობის გამოწვეული ცვლილებები აისახა შემდგომ პერიოდზეც. ეს არა მარტო არარელიგიური წესების ფორმალიზაციას, არამედ ახალი პრაქტიკების დამკვიდრებასაც ეხება. რელიგიური ქორწინების აკრძალვის მიუხედავად, ბავშვი უკანონოდ რომ არ მიჩნეულიყო, ოჯახის უფროსი წევრები რელიგიურ წესს მექორწილეთა გარეშე, ფარულად ასრულებდა; წინადაცვეთას უკვე ექიმები ასრულებდნენ, თუმცა ადგილობრივ პერსონალს პრობლემები რომ არ შექმნოდათ, წესი აჭარის მეზობელ რაიონებში სრულდებოდა; მას შემდეგ რაც მიცვალებულებზე რელიგიური წესების შესრულება აიკრძალა, შეიცვალა - მიცვალებული გაპატიოსნების წესი (ის ფარულად, ღამით სრულდებოდა), დატირება (აღარ იკითხებოდა ყურანი), დაკრძალვის დღე (მიცვალებულს ძირითადად რამდენიმე დღის შემდეგ მარხავდნენ); სადღესასწაულო ლოცვას მორწმუნეები ვეღარ ასრულებდნენ ერთობლივად (ის ოჯახებში სრულდებოდა), რადგან ერთადერთ მოქმედ მეჩეთად ბათუმში იყო, გადაადგილება კი იზღუდებოდა ა.შ.; ამ პირობებში რელიგიური ცოდნის გადაცემა მხოლოდ ზეპირი ფორმით, ფარულად ხდებოდა, რის გამოც გაჩნდა განსხვავებული ინტერპრეტაციები და სახეცვლილი წესები. ამგვარი ზეპირი ტრანსლირებით შექმნილი ფორმა წარმოდგენდა იმ ტრადიციული ისლამის ძირითად საფუძველს, რომელიც 1980-

---

[221] ძირითადად, საუბარი იყო თურქეთში მაცხოვრებელ მუჰაჯირებზე (და მათ შთამომავლებზე) ან საზღვრების ცვლილების შედეგად, თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილ ნათესავებზე, რომლებიც ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ კავშირები აჭარაში დარჩენილ ნათესავებთან.

[222] ნათმელაძე მ., დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში (თურქებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების გასახლებანი საქართველოდან 1941-1945 წლებში), თბილისი, 1993; თურმანიძე ო., ახალი პოლიტიკური რეპრესიები და მოსახლეობის დეპოტაცია XX საუკუნის 40-იან წლებსა და 50-იანი წლების დამდეგს, - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, ბათუმი, 2012, გვ. 383-96.

[223] აჭარის ა.რ. მეჩეთების აღწერის მასალები. 2007-10 წლები.

იანი წლების ბოლოს თანდათან დაბრუნდა საჯარო სივრცეში.

დასკვნა

ამრიგად, მუსლიმური რელიგიური თემის გაჩენა დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო. ოსმალეთის იმპერიის მმართველობის პირველ პერიოდში, ისლამის გავრცელებას სოციალური ხასიათი ჰქონდა. შემდგომში, ადგილობრივი მოსახლეობა რთული პოლიტიკური, სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური ფაქტორების გავლენით ხდებოდა მუსლიმი. თუმცა, რეგიონის მართვის სისტემა და შესაბამისი აპარატი, კონტროლთან ერთად, მნიშვნელოვან დათმობებსაც გულისხმობდა, რადგან ადგილობრივ ფეოდალებს საზღვრების დაცვა და ცენტრისადმი ლოიალობა ევალებოდათ. ოსმალეთის მმართველობის ბოლო წლებში, რეგიონის მნიშვნელობიდან გამომდინარე, განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი. თუმცა, მხარის კონტროლი და დაცულობა პრიორიტეტად რჩებოდა.

თანზიმათის რეფორმის გავლენით, რომელიც ნაციონალისტური ხასიათის პროექტსაც მოიცავდა, მოხდა ადგილობრივი ფეოდალების უფლებებისა და საკუთრების შეკვეცა, რის გამოც, მათ მხარდაჭერა ოსმალეთის მოწინააღმდეგეს - რუსეთის იმპერიას - გამოუცხადეს. რუსეთის იმპერიის პერიოდი კონკრეტული იმპერიული მიზნების რეალიზებაზე იყო ორიენტირებული და ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა მეორეხარისხოვანი აღმოჩნდა. ამან გამოიწვია მუჰაჯირობა. რეგიონში პროპაგანდისტული და სიმბოლური სივრცეების გაჩენა ეკონომიკური პროექტების პარალელურად მიმდინარეობდა, რასაც ახალმოსახლეების მომრავლება მოჰყვა. რუსული ადმინისტრაცია ხელს უწყობდა ლოიალურად განწყობილი მოსახლეობის მომრავლებას, ახალი სამეურნეო დარგების განვითარებას და ქალაქის მოდერნიზაციას.

XX საუკუნის დასაწყისში დაწყებული არეულობა და შემდგომი ომი რეგიონზე ნეგატიურად აისახა და ის ქაოსმა და განუკითხაობამ მოიცვა. რუსეთის იმპერიის შემდგომ პერიოდში, მათ შორის, პირველი რესპუბლიკის დროს, მდგომარეობა ურთულესი იყო. ეკონომიკურმა კრიზისმა, რესურსების ნაკლებობამ, ყაჩაღობამ, ბანდიტიზმმა, პერიოდულმა ინტერვენციებმა მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. პოლიტიკურ გაურკვევლობას სხვადასხვა ჯგუფის მოქმედებაც ემატებოდა, რაც რეგიონის მდგომარეობას და მის მომავალს გაურკვეველს ხდიდა.

საბჭოთა პერიოდი არსებული სისტემების თანდათანობითი ნგრევით და რეპრესიული აპარატის აქტიური გამოყენებით გამოირჩეოდა. მუსლიმური თემი თანდათანობით "უხილავი" გახდა, სადაც ცოდნის გადაცემა ზეპირსიტყვიერად ხდებოდა, თუმცა მისი პრაქტიკების ნაწილი ტრანსფორმირდა და შენარჩუნდა.